საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 217 (496) ხუთშაბათი, 22 ოქტომბერი, 1992 წელი ფასი 3 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

სოხუმიდან გვაცნობეს

სოხუმი, 21 ოქტომბერი. (იტარ-სახდესის უშტატო კორ. თენგიზ პაპასქირია). აფხაზეთის დედაქალაქში ჩამოვიდა საქართველოს პოლიციის სპეციალური ქვედანაყოფი, რომელიც დაუწესებს კონტროლს სოხუმში მართლწესრიგის უზრუნველყოფას და წარმართავს ბრძოლას დამნაშავე ელემენტებისა და დივერსიული ჯგუფების წინააღმდეგ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სოხუმის მესამე ბრიგადის შტაბის მონაცემებით, წუხელ შემჩნეულ იქნა აფხაზეთისა და ჩრდილო-კავკასიის შეიარაღებულ ფორმირებათა ძალების თავმოყრა სოფელ შრომა ეშერის რაიონში. საქართველოს ჯარებმა ლულიანი არტილერიის გადამღობი ცეცხლით უკუაგდეს მოწინააღმდეგე.

წუხელ, იმავე მონაცემებით, დააფიქსირეს მცირე გემების გადაადგილება სოხუმის კონცხთან და დაბა ბაბუშერასთან, სადაც მდებარეობს სოხუმის აეროპორტი. მესაზღვრეებისა და ოპერატიული მორიგე გემის შეკითხვაზე მათ პასუხი არ გაუციათ. საქართველოს სამხედრო სარდლობამ მიიღო დესანტსაწინააღმდეგო ზომები, და ჰაერში არტილერიის ცეცხლით ხომალდები განდევნეს სოხუმის ყურის აკვატორიიდან და დაბა ბაბუშერიდან.

●

საქართველოს ეროვნული გვარდიის სოხუმის ბრიგადის მეთაურთა ცნობით, გასული დღე-ღამის განმავლობაში სოხუმის სიახლოვეს ორ მონაკვეთზე იყო საომარი მოქმედებები.

გულრიფშის რაიონში აფხაზ მოთარეშეთა და ადგილობრივ სამხედრო ფორმირებათა შეტაკება მოხდა.

ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობამ მიმართა მოსახლეობას, რომ საზღვაო აკვატორიაში საომარ მოქმედებათა მიმდინარეობის გამო ღამის საათებში აკრძალოს თევზსაჭერი თუ სხვა გემების ზღვაში შესვლა.

სოხუმის კომენდანტის ბრძანებით კომენდანტის საათი გაგრძელდა მიმდინარე წლის 21 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე, საღამოს 20 საათიდან დილის 6 საათამდე.

ოპერატიულ პოლკში

70 წლის მანძილზე სიტყვამ — „ინტერნაციონალიზმი" თავისი პირვანდელი შინაარსი შეიცვალა და საერთოდ დაკარგა კიდეც.

დღეს კი, ისეთ ექსტრემალურ ვითარებაში, როგორიც საქართველოშია, ნამდვილად მისასალმებელია, რომ საომარ მოქმედებებისათვის მზადყოფნის სურვილი გამოთქვა საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეროვნების წარმომადგენლებმა: სომხებმა, რუსმა, აზერბაიჯანელმა, ბერძენმა, ოსმა, იეზიდმა. ისინი, როგორც რეზერვისტები, რაიონების სამხედრო განყოფილებებიდან თბილისში არიან გამოწვეული დროებით სამხედრო შეკრებაზე.

შინაგანი ჯარების ოპერატიული პოლკის ბაზაზე დღეისათვის უკვე მიღებულია 26-დან 40 წლამდე და 40 წელს ზემოთ ასაკის ასობით მამაკაცი. უმეტესობას თავის დროზე გავლილი აქვს სავალდებულო სამხედრო სამსახური, მაგრამ მათ შორის არიან ისეთებიც, ვისაც არავითარი სამხედრო მომზადება არა აქვს.

ამ დღეებში შინაგანი ჯარის ოპერატიული პოლკი მიიღებს 40 წელს გადაცილებულ თბილისელ მოხალისეებსაც.

შინაგანი ჯარების პრესსამსახური.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

სანდრო კავსაძე: დამნაშავენი პასუხს აგებენ...

როგორც საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, ახლახან საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი, ერთაშორისო ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე სანდრო კავსაძე აფხაზეთში იმყოფებოდა. საქინფორმის კორესპონდენტმა ლამარა გაგუამ სთხოვა მას მოეთხრო, თუ რა ვითარებაა ამჟამად იქ და რა პერსპექტივებია სამომავლოდ.



— **ვითარება** ძალზე მძიმეა, — თქვა მან. — მძიმეა იგი არა მარტო იქაური ქართული მოსახლეობისათვის, მთელი საქართველოსათვის, არამედ თვით აფხაზეთის მხარისათვისაც, ყველასათვის, ვინც იქ ცხოვრობს. განსაკუთრებით გამძაფრდა ვითარება იმის შემდეგ, რაც აფხაზთა და დაქირავებულ მკვლელთა ბანდებმა დაიკავეს გაგრა, განთიადი, ლესელიძე. მანამდე აფხაზეთის ტერიტორიიდან ლტოლვილთა ასეთი მასობრივი გასვლა არ იყო. ამჟამად ჩვენთვის ცნობილია, რომ ლტოლვილები, რომლებიც სოჭისაკენ გაეშურნენ, 40 ათასზე მეტნი არიან. მიმდინარეობს ქართველთა ეთნიკური „წმენდა". როგორც ამბობენ, „გამოთავისუფლებულ" ადგილებზე ასახლებენ ჩეჩნებს, კავკასიელ ხალხთა სხვა ეროვნების წარმომადგენლებს.

ჩვენ მივიღეთ ზომები და გადმოვიყვანეთ ლტოლვილები საქართველოში, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა გვმართებს, რათა მთლიანად დავაბრუნოთ ისინი სამშობლოში. შექმნილია ლტოლვილთა განსახლების სპეციალური კომისია, რომელსაც ბატონი ირაკლი სურგულაძე ხელმძღვანელობს. უნდა აღინიშნოს, რომ ლტოლვილების მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა და დიდ ძალისხმევას მოითხოვს არა მარტო ჩვენგან, არამედ ყოველი ქართველისაგან, საქართველოს ყველა მოქალაქისაგან.

სოხუმში ეკონომიკურ გაჭირვებას, სურსათით მომარაგების შეფერხებას და სხვა მრავალ სიძნელეს ემატება მტრის თავდასხმის მოლოდინი. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ვითარება სერიოზულია. ხდება შეტაკებები, არის ცდები მტრის ჯგუფების მთებიდან გადმოსვლისა. ჩვენი მამაცი მებრძოლები იგერიებენ მათ შემოტევას. მიღწეულია გუმისთასთან დაპირისპირებული მხარეების ძალთა თანაფარდობა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ წინათ მდგომარეობა უფრო მძიმე იყო. გაგრის შემდეგ ადვილი გასაგებია როგორი განწყობილება, როგორი ფსიქოლოგიური დაძაბულობა უნდა ყოფილიყო. მაგრამ იმის შემდეგ, რაც შეიქმნა ერთიანი შტაბი, განხორციელდა პროფესიული სამხედრო კადრების მოზიდვის, სტრატეგიის შემუშავების და სხვა ღონისძიებები, ვითარება ერთგვარად განიმუხტა. ასეა თუ ისე, ყველაფერს ფარდა აეხადა, ჩვენ ვიცით, ვისთან და რასთან გვაქვს საქმე.

ძალზე დაძაბული იყო ვითარება ოჩამჩირის გზატკეცილზე, რომელსაც აფხაზთა და სხვა ბანდიტური რაზმები აკონტროლებდნენ. ქმედითი ღონისძიებების შედეგად გზა გახსნილია და მოძრაობა შედარებით უსაფრთხოა. სამწუხაროდ, ქართველების ინტერესების, მთლიანად საქართველოს ინტერესების დაცვაში ჯერჯერობით კიდევ არ იღებენ აქტიურ მონაწილეობას გალის და ზუგდიდის რაიონის წარმომადგენლები. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი სულ უფრო და უფრო კარგად ხედავენ რეალობას და მალე გაერკვევიან საქმეში.

ჩვენი კომიტეტისათვის მეტად მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა ტყვეების და მძევლების განთავისუფლება, დაკარგული ადამიანების ძებნა, დაღუპულების დადგენა. ჩვენთან უამრავი ადამიანი მოდის. ზოგი უახლოეს ნათესავს ეძებს — შვილს, დას, ძმას, მეუღლეს, არ იცის მისი ბედი, ზოგი უკვე დაღუპულ ახლობელს სტირის, ზოგს ცხედარი ვერ უპოვია, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზეა დარჩენილი და ვერ გადმოუსვენებია აქეთ, ზოგისათვის კი ცნობილი გახდა, რომ მისი უსაყვარლესი ადამიანი ტყვედ არის ჩავარდნილი. ჩვენ კი მათ ჯერჯერობით რეალურ დახმარებას ვერ ვუწევთ. თუმცა ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ვანუგეშოთ ისინი, შევუმსუბუქოთ ტკივილები შეძრწუნებულ და შეწუხებულ ადამიანებს. მაგრამ ზოგადი ფრაზებით და მხოლოდ ნუგეშით როგორ დააკმაყოფილებ დედას, რომელმაც შვილი დაკარგა. ამიტომ, გადავწყვიტეთ, გადავდგათ პრაქტიკული ნაბიჯები. კომიტეტში შეიქმნა სპეციალური სამსახური, ამ სამსახურს სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა კაცი გიორგი ბარამიძე, რომელიც ევროპის უშიშროების ფაქტის დამდგენი მისიის წევრებთან ერთად იყო აფხაზეთში, გუდაუთაში შეხვდა ტყვეებს, შეადგინა მათი სიები. მან თქვა, რომ ტყვეები კარგად გამოიყურებიან, არ ეტყობათ წამების კვალი.

გადავწყვიტეთ მოვაწყოთ სადღეღამისო მორიგეობა და ყოველ მოქალაქეს შეეძლება მიმართოს დაკარგულთა საძებნად, ტყვედ აყვანილთა გასათავისუფლებლად, დაღუპულთა სიების დასადგენად, მათი გადმოსვენების, ხოლო თუ დაკრძალულია — საფლავის დასადგენად. ვიმეორებ ვითარება მეტად სერიოზულია, ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მოვაგვაროთ ყველა ეს საკითხი, შევუმსუბუქოთ ადამიანებს ტკივილი.

არის სხვა საკითხები, რომლებიც მზადდება გაეროსა და უშიშროების საბჭოს წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული წინადადებების საფუძველზე. თბილისში დარჩა გაეროს მუდმივი წარმომადგენელი, რომელიც აქტიურად მუშაობს ჩვენთან ერთად კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზების საძიებლად.

საერთოდ, ვთვლით, რომ უნდა ვეძებოთ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საშუალებები, შევინარჩუნოთ ადამიანების სიცოცხლე და დავამყაროთ რეგიონში მშვიდობა. მაგრამ ამ გზების ძიებასთან ერთად არის მოსაგვარებელი უმნიშვნელოვანესი საკითხები: — უნდა მოხდეს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება, გაწვრთნილი სამხედრო კადრების და სპეციალისტების სოხუმის რეგიონში თავმოყრა. ამ ეტაპზე მზადყოფნაა ჩვენთვის ყველაზე აუცილებელი. საჭიროა რუსეთის მოქალაქეთა ტერორისტული ბანდების საქართველოს ტერიტორიიდან გაძევება. ამის შედეგად დავრწმუნდით, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზების ძიების პარალელურად მაქსიმალურად უნდა ავამოქმედოთ ჩვენი ძალები თავდაცვის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის, შეიარაღებული ძალების შექმნისა და დახვეწისათვის. ალბათ, მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი აღნიშნული კონფლიქტის მოგვარება რომ ის არ გაჭიანურდეს. არ გადაიქცეს ახალ ყარაბაღად. მით უმეტეს, სრულებითაც არა ვართ დარწმუნებული, რომ ვინმეს ხელს არ აძლევდეს ამ კონფლიქტის გაჭიანურება.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს საომარი მოქმედება, მინდა მივმართო ყველას, ვინც ამ კონფლიქტში აღმოჩნდა ჩათრეული და შევახსენო, რომ თვით ომსაც გააჩნია თავისი კანონები და მათ დაუცველობას ადამიანები ბარბაროსობამდე მიჰყავთ, კატეგორიულად მოვითხოვ და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მოწვეული იყოს სპეციალური საერთაშორისო მისია, რომელიც შეისწავლის სინამდვილეს და გამოიძიებს სამხედრო დამნაშავეთა მოქმედებას. სრულიად საგანგებო ყურადღება დაეთმობა მათი პასუხისგებაში მიცემის საქმეს, ვინც აწამებს, შეურაცხყოფს ადამიანებს, არაფრად აგდებს მის უფლებებს. ამას საქვეყნოდ ვაცხადებ და ვაფრთხილებ კონფლიქტში ჩათრეულ მხარეებს, განსაკუთრებით კი აფხაზებს, რომ დადგება დრო და რეაგირების გარეშე არ დარჩება არც ერთი მათ მიერ ჩადენილი სისასტიკის ფაქტი. ასეთი ადამიანები კი, ვინც უნდა იყვნენ ისინი, პასუხისმგებლობას ვერ დაემალებიან. ამისათვის ყოველ ღონეს ვიხმართ თუნდაც საკუთარი სიცოცხლეც რომ დამჭირდეს, არ დავზოგავ...

მინდა დავარწმუნო დაღუპულების, ტყვეობაში მყოფი ადამიანების ახლობლები, რომ მთავრობის თითოეული წარმომადგენელი, რესპუბლიკის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ამ მიმართულებით. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის სამუშაო დღეც სწორედ ამ ცნობების გაანალიზებით იწყება.

მოგება? — კი! მაგრამ კაცობა არ უნდა დავკარგოთ

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია, როგორც ვიუწყებოდით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის წლიური ანგარიშის განხილვაში მონაწილეობდა ქალაქ ვაშინგტონში. პლენარულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრემიერმა ოთარ ქვილითაიამ.* ეს თავისთავად არაორდინარული ფაქტი იყო: ქვეყანა, რომელსაც ამ საერთაშორისო გაერთიანებებში არაფერი გაუკეთებია, უცებ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. რატომ?

საუბარი საქართველოს რესპუბლიკის პირველ ვიცე-პრემიერთან ოთარ ქვილითაიასთან

— არაჩვეულებრივი აქ არაფერია. ჯერ ერთი, სიტყვები წარმოთქვეს სხვა, ახლად მიღებული ქვეყნების წარმომადგენლებმაც, მართალია — დახმარების მიღების აქცენტით. მეორე, მიმდინარე მოვლენებმა თვით საქართველოში განაპირობა ასეთი ინტერესი. მესამე, ყოფილი სსრკ-ში შემავალი ქვეყნებიდან პრაქტიკულად მხოლოდ საქართველო არ აღმოჩნდა ახალი თანამეგობრობის შემადგენლობაში (ბალტიისპირეთი, მოგეხსენებათ, სხვა ისტორიული კატეგორიაა). მეოთხე, საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც სხვა რესპუბლიკებთან შედარებით უკეთესი შანსი აქვს მალე ჩაერთოს მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში. ყველაფერმა ამან გარკვეულად გამონაკლისის მდგომარეობა შეგვიქმნა. თანაც, საქართველო განსაკუთრებული ინტერესის საგანი მისი ლიდერის (ახლა უკვე ლეგიტიმურის) ედუარდ შევარდნაძის გამო იყო.

— შეიძლება თუ არა, რომ ჩამოთვლილ მიზეზებს ერთიც დავუმატოთ: — მსოფლიო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობა, რომელთანაც ჩვენს დელეგაციას რამდენიმე თვის მანძილზე საქმიანი კონტაქტები ჰქონდა, დაინტერესებული იყო ყველა სხვა ქვეყნის დელეგატებისთვის სწორედ პლენარულ სხდომაზე გაეცნო საქართველოს წარმომადგენლობა?

— ალბათ, ესეც იყო. ფონდისა და ბანკის სპეციალისტთა მისიებმა, რომლებიც საქართველოში იყვნენ და აქვე შეისწავლეს პრობლემები, ფრიად საინტერესო და ჩვენთვის სასარგებლო დასკვნები წარუდგინეს თავიანთ ხელმძღვანელობას. საინტერესოა ისიც, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნები და ჩვენს მიერ, მათგან დამოუკიდებლად შემუშავებული ეკონომიკისა და ფინანსების განვითარების წინადადებები ერთმანეთს დაემთხვა: მსოფლიო ცივილიზაციისკენ გარკვეულ ქვეყანაში მათ დახვდა [illegible] აზროვნების თანამედროვე დონე. მთავარია, ვიმეორებ, მაინც საქართველოს პოტენციალი — მის ეკონომიკაში, ინტელექტუალურ სფეროში, პრაქტიკულად ყველგან. ჩვენი ინტეგრირებით ისინიც არიან დაინტერესებული,

— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რა „მოვიგეთ" ამით? იმედი კონკრეტულად რა რეალიებს უნდა დავეფუძნოთ? ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე გეკითხებით, ცხადია.

— რა მოვიგეთ? იმ მეთოდოლოგიით, რომლითაც მსოფლიოს 5 მთავარი ეკონომიკურ-ფინანსური ორგანიზაცია მოქმედებს, ახალი წევრებისთვის კრედიტების გაცემა იწყება მათი (ამ წევრების) საქმიანობის დაწყებიდან 18 თვის შემდეგ. ჩვენ დავურღვიეთ ეს ტრადიცია და პრაქტიკულად 4-5 თვეში გადავაბიჯეთ დადგენილ მიჯნას. გადაწყვეტილებები ჩვენთვის 15 და 80 მილიონი დოლარის გამოყოფის თაობაზე, რომელიც ტექნიკური დახმარებისთვის, სამთავრობო რეფორმებისთვის, სტაბილიზაციისთვის და სხვა მიზნებისთვის გვჭირდება, უკვე მიღებულია. მათი და ჩვენი ვარაუდით, 1 იანვრიდან უკვე გავხდებით კრედიტის მფლობელები. პარალელისთვის: რუსეთმა და უკრაინამ ჩვენზე ადრე დაიწყეს ამ მხრივ მუშაობა, მაგრამ მათი პრობლემების გადაწყვეტა ჯერ ისევ აწონ-დაწონის სტადიაზეა.

შემდეგ, კრედიტის მიღების დროს მოგებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. კრედიტის ეფექტიანობაზე — კი: იგი დაგვეხმარება მოკლე დროში გავიაროთ ფეხზე წამოდგომისთვის საჭირო მანძილი. ეს წინათაც გვითქვამს. მაგრამ ამისთვის აუცილებელია ხელებდაკაპიწებული შრომა, ჩვენი თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების თავდაუზოგავი, ერთობლივი მუშაობა. მხოლოდ ასე გახდება შედეგიანი, პრაქტიკული და კონკრეტული ის ეფექტი, რომლის პოტენციური შესაძლებლობა კრედიტის მიღებაში ძევს. ისიც გვითქვამს, რომ შევაცვლევინეთ მათ პრაქტიკაში არსებული კრედიტების კონსულტაციებისთვის დახარჯვის პრინციპი. დავუმტკიცეთ, რომ ტექნოლოგიების ასამოქმედებლად ტექნიკური საშუალებები გვჭირდება, რომ ფული ჩვენი ინტელექტუალური ძალებისთვის სამუშაო პირობების შექმნას უნდა მოხმარდეს, და მივიღეთ მათი პრინციპული თანხმობა.

— მაგრამ, ალბათ, არა პირველ შეხვედრისთანავე.

— რა თქმა უნდა, არა. ახლა ამის მოყოლას არ შევუდგები, თქვენს მკითხველებს თავს არ შევაწყენთ. ზოგადი წარმოდგენისთვის ვიტყვით, რომ საქართველოში ფონდისა და ბანკის 15 მისია პერმანენტულად ჩამოდიოდა და მუშაობდა: ჩვენი საერთო კონცეფციები ერთობლივი მუშაობით თანდათან ყალიბდებოდა აქ, საქართველოში, ხოლო გადაწყვეტილებები და კურსის განსაზღვრა, რასაკვირველია, ვაშინგტონში მოხდა, ცხადია, ჩვენი მონაწილეობით.

ბოლო მივლინების დროს, პარტნიორებთან 2-3 დღის მუშაობის შედეგად, მოვამზადეთ საკითხები და მსოფლიო საფინანსო კორპორაციის წევრები გავხდით, ოფიციალურად...

— ფინანსების თვალსაზრისით, რა ხელს გვაძლევს ამ საერთაშორისო ორგანიზაციებში ყოფნა?

— აგიხსნით. საფინანსო ორგანიზაციების წევრობა შეღავათიან პირობებს უქმნის მათ წევრებს, მათ შორის, ჩვენც. ამ დროს საქმე გვაქვს აქციებთან, რომლებიც ფასიანი ქაღალდებია, ეს კი ის კაპიტალია, რომელიც რესპუბლიკას უგროვდება. საწევრო გადასახადი ის თანხაა, რომელიც ბანკში საერთო პოტენციალს ქმნის, დეპოზიტზე დადებული თანხასავითაა, რომლის დივიდენდი, შემოსავალი, ჩვენვე დაგვრჩება; შესაძლებლობა გვეძლევა ავიღოთ სესხი. დივიდენდები, საწევრო შენატანები ქმნის ჩვენს პოტენციალს, რომელიც სახელმწიფოს ძლიერების განმსაზღვრელია. ეს თანხა აშშ ფედერალურ ბანკშია, მაგრამ ჩვენი კაპიტალია და სხვა ხელს ვერ ახლებს. აქციებიც ჩვენია. ერთი დეტალი: აქციის საწყისი ღირებულება, ვთქვათ, ათი ათასი დოლარია. მაგრამ დღევანდელი შეფასებით უკვე ასი ათასი დოლარია — ათჯერ მეტი ნომინალურ ღირებულებაზე. ჩვენ, როგორც საფინანსო ორგანიზაციების წევრებს, აქციებს საწყისი

(დასასრული მე-2 გვ.).

---

*ბატონ ოთარ ქვილითაიას ეს სიტყვა ჩვენი გაზეთის 18 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა.

ინტერვიუ ნომერში

იმედი ნუ მოგიშალოთ, შალვა ბატონო!

როგორც უკვე ვიუწყებოდით, შალვა ქექელია დაინიშნა რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულად სამეგრელოს რეგიონში.

გუშინ, ბატონი შალვა თბილისში ბრძანდებოდა. ჩვენ შევხვდით და გავესაუბრეთ:

— ბატონო შალვა, ჩვენ კარგა ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, მახსოვს, თქვენ რომ სენაკის გამგებელი გახდით, პირველი ინტერვიუ სწორედ ჩვენს გაზეთს მიეცით. ისიც კარგად ვიცი, რომ თქვენი გამგებლობის პერიოდში ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა სენაკის რაიონში. ყოველ შემთხვევაში, დღეს აქ სტაბილური ვითარებაა, არჩევნებიც კარგად ჩატარდა. ასე რომ, თქვენს შრომასა და ბრძოლას უქმად არ ჩაუვლია, თქვენ რას გვეტყვით?

— უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვა ის, რომ სენაკში შექმნილი სტაბილური ვითარება, ჩვენი ხალხის, თითოეული სენაკელის ე. წ. „პოზიციისა" თუ „ოპოზიციის" საღი განსჯის, თანადგომისა და საქართველოს უმთავრესი ინტერესების გათავისების კონკრეტული შედეგია, რისთვისაც მათ უდიდეს მადლობას მოვახსენებ. ეს ყველაფერი თვალნათლივ გამოიხატა სწორედ არჩევნების დღეს, როდესაც სენაკელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ახალი საქართველოს აღმშენებლობის იდეას და ბატონ ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურას.

— ბატონო შალვა, ეს ახალი თანამდებობა ამასთან, თქვენი არჩევა საქართველოს პარლამენტის წევრად, ცხადია, გაცილებით მეტს გავალებთ. სამეგრელოს რეგიონში დღეს თითოეული ქართველის სატკივარია. როგორ ფიქრობთ აქ არსებული მტკივნეული პრობლემების მოგვარებას?

— უდიდესი იმედი მაქვს ჩემი ხალხის, ადგილობრივი მმართველობისა და ადმინისტრაციული ორგანოების თანადგომისა. უნდა დამყარდეს წესრიგი, რომ მშრომელ კაცს მიეცეს ნორმალური შრომისა და ცხოვრების საშუალება. აი, ეს არის ჩემი უპირველესი მიზანი. და მჯერა, რომ თუ ჩვენ ხალხთან ერთად მივაღწევთ წესრიგისა და დისციპლინის აღდგენას წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და ზუგდიდის რაიონებში, აქაც შეიქმნება ყველა პირობა იმისათვის, რომ უახლოეს მომავალში ჩატარდეს არჩევნები.

ყველაზე მტკივნეული ჩემთვის ის არის, რომ სამეგრელოს მოსახლეობა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ უმნიშვნელო ნაწილს, რომელიც აფხაზეთში იბრძვის) ჯერ არ უდგას მხარში აფხაზეთში მეომარ ქართველობას. მე მჯერა, რომ სულ მოკლე ხანში არა თუ ამ კუთხის ვაჟკაცთა მთელი არმია, თვით პრეზიდენტყოფილის მხარდამჭერი შეიარაღებული რაზმების გაერთიანებული მებრძოლებიც, (რა თქმა უნდა მცირეოდენი გამონაკლისის გარდა), მხარში ამოუდგებიან საქართველოს სამხედრო ფორმირებებს აფხაზეთში და თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში.

ამისათვის, ცხადია, დიდი ძალისხმევა, მოთმინება, წარსული წყენის დავიწყება და სიყვარული დაგვჭირდება, რომ მივაღწიოთ საწადელს. მეც კარგა ხანია დავივიწყე ჩემი გადამწვარი სახლკარის, აწიოკებული ოჯახის მწარე ამბები. ასევე უნდა მოიქცეს ყველა, ვისაც სურს საქართველოს ერთიანობა და მთლიანობა, ჩვენი საერთო ძმობა და თანადგომა. მხოლოდ ასე მოვერევით მოზღვავებულ მტერს.

ასე რომ, ასეთი იმედით მივდივარ სამეგრელოში, სადაც ჯერ კიდევ არ დაკარგულა რაინდობის, ვაჟკაცობის მადლი და ღირსება.

— მაშ ეს იმედი ნუ მოგიშლოდეთ, შალვა ბატონო, წარმატებას გისურვებთ!

ესაუბრა
გიორგი ჭელიძე.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

შ. ქექელიას შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს შალვა ნიკანდროს ძე ქექელია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულად სამეგრელოს რეგიონში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1992 წლის 19 ოქტომბერი.

ნომერში

⊙ ბუნებრივი სიმდიდრე, რომელიც უნდა გამოვიყენოთ. — 2

⊙ არჩევნები, აფხაზეთის ომი და რუსეთი... — 3

ახალი საქართველოს სამაყოდ!

ქართული თურქოლოგიის პატრიარქს აკადემიკოს სერგი ჯიქიას

ღრმად პატივცემულო ბატონო სერგი, გულითადად მოგილოცავთ დაბადების დღეს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს.

მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება თქვენ ქართული მეცნიერების წინსვლასა და აღმავლობას მიუძღვენით.

დიდი ქართველი მამულიშვილების ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის მიერ მირონცხებული მოქალაქე, მეცნიერი და მოღვაწე, სრულიად ახალგაზრდა, თურქოლოგიის საფუძვლების დასაუფლებლად სტამბოლის უნივერსიტეტში ბრძანდებოდით მივლინებული, სადაც დიდი მონდომებით შეისწავლეთ ქართულ-თურქული ისტორიულ-ლიტერატურული ურთიერთობანი.

ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ თქვენ თბილისის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბეთ თურქოლოგიის კათედრა, მოგვიანებით კი აკადემიკოს გიორგი წერეთელთან და სხვა გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად იყავით უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტისა და, შემდგომ, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შექმნის თაოსანი. ამ ინსტიტუტში დღემდე უცვლელად ხელმძღვანელობთ თურქოლოგიის განყოფილებას.

თქვენ უდიდესი აღიარება მოგიტანათ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" პუბლიკაციამ და მეცნიერულმა ანალიზმა, აგრეთვე სხვა ფუნდამენტურმა ნაშრომებმა, რომლებიც ქართული მეცნიერების საგანძურში შევიდა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახს. იდღეგრძელეთ ჩვენი საყვარელი ქვეყნის, ახალი საქართველოს სამაყოდ და სასიკეთოდ.

პატივისცემით
ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში

ხე-ტყის ექსპორტი და რეექსპორტი დროებით შეჩერებულია

ადგილზე დამზადებული ხე-ტყის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის აღსაკვეთად და რესპუბლიკის ტყეების დაცვის გასაძლიერებლად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 1992 წლის 1 ნოემბრიდან დროებით შეაჩერა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან ხე-ტყის (მორები, ხის მასალა, დაწნეხილი ფილები, პარკეტი) ექსპორტი, მათ შორის, — რეექსპორტის მიზნით შემოტანილისა.

1992 წლის 20 ოქტომბრიდან წყდება ლიცენზიების გაცემა ზემოაღნიშნული საქონლის ექსპორტისა და რეექსპორტისათვის.

ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დავალებით შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი და რესპუბლიკის საპასპორტო სამსახური აწარმოებენ აფხაზეთის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულთა აღრიცხვას.

გთხოვთ თქვენს რაიონში (ქალაქში) გაუკეთოთ მობილიზაცია შესაბამის ადგილობრივ სამსახურებს და აღმოუჩინოთ სათანადო დახმარება აღნიშნულ სამინისტროებსა და უწყებებს დასახული ღონისძიებების განხორციელებაში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დავალებით აფხაზეთის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების მიღება-დაბინავების სამთავრობო კომისია გთხოვთ ყველა ოჯახს, გამოცხადდეთ თქვენი დღევანდელი ადგილსამყოფელის, ქალაქისა და რაიონის მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში რეგისტრაციისა და რიგი სოციალური საკითხების გადასაწყვეტად.

აფხაზეთის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების მიღება-დაბინავების სამთავრობო კომისია.

კომენტარი შენთვის მოგვინდვია, მკითხველო!

„სისხლისღვრის შეწყვეტა ჯერ კიდევ შეიძლება"

„იზვესტიის" სპეციალური კორესპონდენტის იგორ ანდრეევის შეკითხვებს უპასუხებს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბა

— ბატონო ვლადისლავ, როგორი პოლიტიკური და სამხედრო ვითარებაა ამჟამად აფხაზეთში?

— თუ პოლიტიკურ ვითარებაზე ვილაპარაკებთ, სულ რამდენიმე სიტყვით შეგვიძლია დავახასიათოთ. არსებობს 3 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომელსაც ხელი მოაწერეს აფხაზეთის, საქართველოს და რუსეთის მხარის წარმომადგენლებმა. უნდა ვთქვა, რომ ამ უკანასკნელმა ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ ორი დაპირისპირებული მხარე კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზაზე დაეყენებინა. მაგრამ ყოველგვარი კომპრომისი გულისხმობს იმ მთავარი პირობის შესრულებას, რომელიც ჩვენ მოვითხოვეთ: გაიყვანონ საქართველოს მთელი შეიარაღებული ძალები აფხაზეთის ტერიტორიიდან. მაგრამ თბილისი კვლავინდებურად ძალადობრივ მეთოდებს ამჯობინებს.

როცა საბოლოო დოკუმენტს ვაწერდით ხელს, დავთქვით — და ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, — რომ ერთი თვის შემდეგ საჭირო იქნება კიდევ ერთი შეხვედრა, იმის გაკონტროლება, თუ როგორ სრულდება 3 სექტემბრის გადაწყვეტილებანი. როგორც მოგეხსენებათ, ეს შეხვედრა ჯერჯერობით არ გამართულა და, ჩვენი აზრით, საქართველო ამ დროს აჭიანურებს, რათა გააძლიეროს აფხაზეთში თავისი სამხედრო დაჯგუფება. უკანასკნელი მონაცემებით, სახელმწიფო საბჭო აპირებს ჩვენთან თავი მოუყარონ ტანკებს, დიდძალ არტილერიას, მათ შორის „გრადის" ოთხ დანადგარს, და ეს ძალები უკვე ზუგდიდშია. ანუ

(დასასრული მე-2 გვ.).

ულოცავენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ,

გულითადად გილოცავთ დამაჯერებელზე უფრო დიდ გამარჯვებას არჩევნებში, გისურვებთ, ძვირფასო ედუარდ ამბროსის ძევ, წარმატებებს თქვენი პარლამენტის, საქართველოს ხალხთა წინაშე მდგომი ურთულესი ამოცანების გადაწყვეტაში. თქვენი ქვეყნის განვითარების ამ ძნელ, გადამწყვეტ მომენტში აღგითქვამთ, რომ გულწრფელად ვესწრაფვით ყოველმხრივ და ნაყოფიერად ვითანამშრომლოთ ქართული პარლამენტის დეპუტატებთან, პირადად თქვენთან, აგრეთვე გვინდა დაგარწმუნოთ, რომ უცვლელია ჩვენი ჭეშმარიტი კეთილი გრძნობები.

სერგი კრასავჩენკო,

რუსეთის უზენაესი საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარე, პრეზიდიუმის წევრი, რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს და საქართველოს უზენაესი საბჭოს თანამშრომლობის საპარლამენტთაშორისო კომისიის თანათავმჯდომარე.

ძვირფასო ედუარდ ამბროსის ძევ,

ვიმყოფებით რა იმ ადგილას, სადაც ქრისტეფორე კოლუმბმა 1492 წლის 12 ოქტომბერს გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა კაცობრიობისთვის ახალი სამყაროს, ცხოვრების ახალი წესის აღმოჩენის გზაზე, ვულოცავთ საქართველოს, რომელმაც იმავე დღეს, 500 წლის შემდეგ, მოახდინა თავისი მტკიცე არჩევანი, აგირჩიათ სახელმწიფოს ხელმძღვანელად, რითაც დაადასტურა თავისი ერთგულება დემოკრატიის, თავისუფლებისა და გონიერების პრინციპებისადმი. გულწრფელად გვჯერა, რომ თქვენი არჩევა საქართველოს ყველა ხალხს მოუტანს ნანატრ მშვიდობას, სტაბილურობასა და აყვავებას.

გვიგულეთ მარად თქვენთან

ლუჩკოვი, წერეთელი, რესინი.

მაიამი-ბიჩი, ნიუ-იორკი, მოსკოვი.

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ თქვენი არჩევის გამო მსურს თქვენს აღმატებულებას გულწრფელად მოვულოცო და გისურვოთ წარმატებები თქვენს მაღალ პოსტზე.

მაუნო კოივისტო,

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი

ნორილსკის სამრეწველო რაიონში მცხოვრები ქართველები სულით და გულით ულოცავენ საქართველოს ხალხს კანონიერი ხელისუფლებისა და სახელმწიფოს მეთაურის არჩევას. ღმერთი შეგეწიოთ, ბატონო შევარდნაძე, ჩვენი მრავალტანჯული საქართველოს აყვავების კეთილ საქმეში.

ნორილსკელ ქართველთა სახელით სათვისტომოს თავმჯდომარე

ლამარა მახარაძე.

მოგება? — კი! მაგრამ კაცობა არ უნდა დავკარგოთ

(დასასრული)

საუბარი საქართველოს რესპუბლიკის პირველ ვიცე-პრემიერთან

ოთარ ქვილითაიასთან

ღირებულებით გვაძლევენ, რადგან თანაბარუფლებიანი წევრი ვართ და, მაშასადამე, — მოგების თანაბარი უფლების მქონენი. ხაზს ვუსვამ თანაბარ უფლებას, რადგან ეს არის ამ ორგანიზაციების საქმიანობის მთავარი პრინციპი.

— ბატონო ოთარ, მე, ოპტიმისტს, მაინტერესებს — უკვე რაღაცა რეალურად გაგვაჩნია, თუ მხოლოდ პერსპექტივაა ისევ?

— პირველი შესატანი მეგობარი ქვეყნის — ჰოლანდიის მთავრობის დახმარებით გადავიხადეთ. ეს ცნობილია. მართალია, ამ ქვეყნის ვალი კი გვაქვს, მაგრამ მას გავისტუმრებთ სესხის გამოყოფის შემდეგ პირველივე მიღებული მოგებიდან. მანამდე არავინ შეგვაწუხებს, რადგან ჩვენი გარანტია მსოფლიო ორგანიზაციები.

— ესე იგი, ჩვენ არაფერს ვზარალობთ, რადგან ვალს მოგებიდან გავისტუმრებთ, მაგრამ ხომ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მოგება ვერ მივიღოთ? თითქოს არ გავანიავოთ აქ, რესპუბლიკაში. რა გველის მაშინ?

— რასაკვირველია! ამიტომ არ მეზარება არაერთგზის თქმულის გამეორება: მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების წევრობა ჩვენი აყვავების ხელშეწყობის დასაწყისია და არა აყვავების დასაწყისი. ეს უკანასკნელი მხოლოდ ჩვენმა შრომამ უნდა განაპიროვოს.

აფინანსებენ მხოლოდ მომგებიან ღონისძიებებს. ჩვენი განვითარების პროგრამებს ამ ნიშნით ვარჩევთ. მაგალითად, უმწვავესი პრობლემაა პურით ქვეყნის მომარაგება. მაგრამ თუ ნასესხები ფული ხორბლის ყიდვაზე დავხარჯეთ მთლიანად, მათხოვრებად დავრჩებით. უნდა მივხედოთ ჩვენს სოფლის მეურნეობას, იქ უნდა დავაბანდოთ თანხები. ამ პრობლემას რომ გადავწყვეტთ, მერე შევძლებთ მივხედოთ მანქანათმშენებლობას, კომუნიკაციებს და ასე შემდეგ.

ამიტომ მითქვამს არაერთგზის, რომ ძალიან დიდი სამუშაო აქვთ ჩასატარებელი — პროგრამების მიღებიდან კანონების მომზადებამდე — ეკონომიკური რეფორმების შტაბს, ეკონომიკის, ფინანსთა, მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროებს, ბანკებს, საბაჟოს და ბევრ სხვა უწყებას.

— ახლაც ხომ მუშაობენ?

— ცხადია, მუშაობენ, მაგრამ უძნელესია და დიდი მოცულობისაა ის სამუშაო, თანაც ექსტრემალურ პირობებში უნდა ჩატარდეს. ეს უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს ყველას.

— კერძო ინვესტორების მოზიდვის რა პერსპექტივა არსებობს?

— სწორედ ახლა, არჩევნების მერე გამოჩნდა ეს პერსპექტივა, რადგან ადრე, არალეგიტიმური ხელისუფლების, ქვეყნის შფოთიანი მდგომარეობის გამო ფრიად მნიშვნელოვანი იყო თავშეკავების ფაქტორი. მალე ასარჩევად გვექნება საქმე: ვინ მოვიწვიოთ, ვინ — არა. მაგრამ სწორედ აქ გვმართებს გონივრული მოქმედება: კერძო ინტერესმა ქვეყნის საერთო ინტერესი არ უნდა შელახოს! არ შეიძლება, მე მგონი, საერთო გაჭირვების ხარჯზე გამდიდრება, ეს უზნეობაა; თუ ქვეყანას, მაგალითად, შაქარი უჭირს, არა მგონია, დიდი პატრიოტი იყოს ის, ვინც შაქარს კი შემოიტანს, მაგრამ ფასს გეომეტრიული პროგრესიით გაზრდის. მამულიშვილობა ის არის, ცეცხლმოკიდებული ბაზრის ფასების დონე თუ არ დაწიე, შეინარჩუნო მაინც. სინდისზე, კაცობაზე, ნამუსზე მოგახსენებთ! და ამაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ჩვენი მომავალი პარტნიორებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად პატიოსან, რამდენად წესიერ ხალხთან ექნებათ საქმე. შეიძლება ამან ძალიან შეგვიშალოს ხელი კერძო ინვესტიციების მოზიდვაში: სერიოზული ბიზნესი ეძიებს საქმიან პარტნიორს, და არა ფულის ბინძურად გამკეთებელს.

ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ არ ჩავეფლოთ შავი მიზნების ჭაობში, რომლის ემისრები ბლომად დაძრწიან დღევანდელ მსოფლიოში.

არ ვიცი, რის გამო, მაგრამ ამ ბოლო დროს შურიანები და ღვარძლიანები გავხდით. იქნებ პოლიტიკური ბრძოლების, წინასაარჩევნო შერკინებათა ბრალია? არ ვიცი, მაგრამ ამ ბრძოლებმა კაცური ღირსება არ უნდა დაგვაკარგვინოს. თუ ვერ მოვთოკავთ ამ გრძნობებს, დაგვიავადდება ერი.

არის ობიექტური მომენტებიც, რაც ეკონომიკური უძრაობის დროს შექმნილი ვითარების, უკვე წარმოქმნილი ღარიბისა და მდიდრის, მაძღრისა და მშიერის დაპირისპირებით აიხსნება. მაგრამ ამ დაპირისპირების დროსაც კაცობას უნდა მოვუხმოთ, იცით, რა მაქვს მხედველობაში? ამერიკაში შეხვედრის დროს ბევრ ჩვენს შემარცხვენელ ფაქტს წავაწყდით, ვნახეთ, მაგალითად, ფალსიფიცირებული ბორჯომის წყალი, „ტარხუნის არაყი", რომლებსაც შტატებში ყიდდნენ... ჩვენს სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებულ მომხვეჭელთა ვალს აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში წავაწყდით — ჩვენი ღვინოების გაყიდვის ექსკლუზიური უფლების მიცემის ფაქტს. ჯერ ერთი, ის მთავრობის პრეროგატივაა, და მეორეც, ამ უფლების გამცემი ჩვენი ეკონომიკის ისედაც ჭრიალით მიმავალ ურემს ბორბლებში ჯოხს სჩრის... მაგრამ თვითონ პირად სარგებელს ნახულობს.

ესეც — „სამშობლო უპირველეს ყოვლისა!"...

— ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ თქვენ იქ ამგვარი ფაქტების გასანეიტრალებლად რაღაც იღონეთ?

— ეს ბევრ უხერხულობასთან იყო დაკავშირებული... მთავარი მაინც ჯანსაღი, საქმიანი კონტაქტების გაფართოებაა და ჩვენც აქცენტი ამაზე გავაკეთეთ. მაგალითად, სასარგებლო და შედეგიანი შეხვედრები ჩავატარეთ ამერიკის ვაჭრობის სამინისტროში ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების საკითხებზე, და ბევრი სხვა.

ნიუ-იორკში შევხვდი ფრიად სოლიდური ფირმის წარმომადგენლებს და რუსთავის „აზოტის" ქარხნის რეკონსტრუქციაზე მოვილაპარაკეთ. 80 მილიონ დოლარ წლიურ შემოსავალს მიიღებს რესპუბლიკა ამ პროექტის რეალიზაციის შემდეგ. შევთანხმდით რესპუბლიკაში ცემენტის ქარხნის მშენებლობაზეც, რომელიც ეკოლოგიურ მოთხოვნათა სრული დაცვით განხორციელდება, მოცულობა კი ისეთი ექნება, რომ ცემენტის (რომელიც დღეს ასე გვაკლია) ექსპორტიორებიც კი გავხდებით. 40-50 მილიონ დოლარის შემოსავალს ვარაუდობენ აქედან;

— ვინ იყავით ვაშინგტონში?

— ფინანსთა მინისტრი ვაჟა ჯინჯიხაძე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნოდარ კაკულია, სახელმწიფო კანცელარიის მმართველი გურამ ბერიძე და მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრის მოადგილე მერაბ კლიმიაშვილი.

— საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაციაა.

— წარმომადგენლობითი — კი, მაგრამ არა მრავალრიცხოვანი. ჩვეულებრივ ასეთ შეხვედრაზე იწვევენ როგორც ქვეყნის წარმომადგენელს, მმართველს ან გუბერნატორს (როგორც აქ უწოდებენ), ასევე მის ალტერნატივას. სავალუტო ფონდში გუბერნატორად მე ვიყავი წარდგენილი, ალტერნატივად — ბატონი ვაჟა ჯინჯიხაძე, მსოფლიო ბანკში, შესაბამისად, — მე და ბატონი ნოდარ კაკულია. სხვა ქვეყნები თავიანთ დელეგაციების რაოდენობას თავიანთი შეხედულებისამებრ ზრდიან. ეს მათი საქმეა, ჩვენ კი ჩვენი უსახსრობის გამო მინიმალურით შემოვიფარგლეთ. სამაგიეროდ, თითოეული წევრის დატვირთვა ასეთი ეკონომიის უკუპროპორციულად იზრდება. შედეგით კმაყოფილი უნდა ვიყოთ, — ბევრი ახალი ხიდი გაიდო საერთაშორისო ეკონომიკურ თუ საფინანსო, ამერიკის საქმიან წრეებთან. მაგრამ მთავარი მაინც ის სამუშაოა, რომელსაც აქ, რესპუბლიკაში უნდა მოვაბათ თავი.

დღეს, რასაკვირველია, გვიჭირს, და ამ სიტუაციიდან გამოსვლის პირველი ეტაპის შეძლებისდაგვარად უმტკივნეულოდ გადასალახავად დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის ქვეყნების დახმარებას. ამიტომ იყო, რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძის დავალებით ნიუ-იორკიდან ვენაში ჩავფრინდი ევროდახმარების საკითხების მოსაწესრიგებლად.

— მკითხველებს, უთუოდ, კონკრეტული შედეგები აინტერესებთ.

— მოგახსენებთ: ჰუმანიტარული დახმარება (ხორბალი) ამერიკიდან უკვე შემოსულია, ერთი გემი უკვე დაიცალა, მეორე — ცხრამეტ ოქტომბერს შემოვიდა, მესამე — 23-ში შემოვა.

დაიძრა დახმარება ევროპიდანაც — ევროდახმარების კრედიტის ხარჯზე პროდუქტებს მალე მივიღებთ.

ბევრი საკითხი კვლავაც გადასაწყვეტია, უწინარესად საზღვარგარეთთან ეკონომიკური ურთიერთობების კოორდინაციაა საჭირო. ეს საბოლოოდ და დაუყოვნებლივ უნდა მოაგვაროს ახალმა პარლამენტმა და ახალმა მთავრობამ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით ყველას მივულოცო არჩევნებში გამარჯვება, და ასევე გამარჯვება და შედეგიანი საქმიანობა ვუსურვო მთავრობის ახალ შემადგენლობას, რომელსაც პარლამენტი დაამტკიცებს.

კარიკატურისტის კომენტარი



მხატვარი ლევან ხართაშვილი.

ეკონომიკა: დღევანდელობა და პერსპექტივა

„სამთო ქიმიის" მომავალი,

ანუ ბუნებრივი სიმდიდრე, რომელიც უნდა გამოვიყენოთ

ნიკა ცხაკაია

„გაერთიანება „სამთო ქიმია" კარგად არის ცნობილი ჩვენს რესპუბლიკაში. იგი ათეული წლების მანძილზე, საკავშირო დიქტატის პირობებშიც კი, ზრუნავდა და ახერხებდა წარმოებისთვის მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, სამთოქიმიელთა სოციალური პრობლემების გადაწყვეტას. ამ მხრივ მართლაც ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ უფრო მეტის იმედს იძლევა მომავალი, ცენტრის კარნახისგან გათავისუფლებული გაერთიანება. რას მოუტანს იგი ხვალ თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს? სწორედ ამის შესახებ გვესაუბრება გაერთიანების გენერალური დირექტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი ბატონი ნიკა ცხაკაია.

შემოვიფარგლები იმ ინოვაციებით, რომლებზეც გაერთიანების ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი მუშაობს ახალი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით. პირველ რიგში ჩვენი მიზანია დაიზოგოს ნედლეული და სასარგებლო წიაღისეულის რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯით მივიღოთ ძვირადღირებული პროდუქცია. ამის მაგალითია ოზურგეთის მაღაროთსამმართველოს ასკანის ბენტონიტური თიხების საბადო, სადაც 60 ათასი ტონით შემცირდა მადნის მოპოვება, გაიზარდა პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი.

როგორ მივაღწიეთ წარმატებას? გაერთიანების სამეცნიერო-კომპლექსურ ლაბორატორიაში ოზურგეთის მაღაროთსამმართველოსთან ერთად ბუნებრივი ბენტონიტური თიხების საფუძველზე დამუშავდა თხევადი საპნის „ასკანას" წარმოება. ეს პროდუქცია დიდი მოწონებით სარგებლობს მოსახლეობაში, ასკანის თიხას ხომ თავსაბანი მიწის სახით ოდითგანვე ხმარობდა ჩვენი ხალხი. ახლა ყოველწლიურად ასიათასობით ცალი ტუბი მიეწოდება მომხმარებელს. აქვე გამოვუშვებთ კბილის პასტას და თხევად საპონს სპეციალური პულვერიზატორით, აგრეთვე მყარ საპონსა და შამპუნს.

ახალ ვითარებაში ჩვენი გაერთიანების ტექნიკური აზრი მიმართულია იქითკენ, რომ ქვეყნის მრეწველობა ნაკლებად იყოს დამოკიდებული შემოტანილ ნედლეულზე და იგი შეიცვალოს საქართველოს ბუნებრივი რესურსებით. ადრე ოზურგეთის ბენტონიტური თიხის საბადოს გადახსნილ ქანებს არავითარი გამოყენება არ ჰქონდა. არადა, გაირკვა, რომ ტრაქიტები სწორედ ის ქანებია, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ფაიფურის მრეწველობაში ძვირადღირებული შემოტანილი მინდვრის შპატის მაგივრად. და აი, კავკასიის მინერალური ნედლეულის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად შევიმუშავეთ ახალი ტექნოლოგია ტრაქიტების ფაიფურის წარმოებაში გამოსაყენებლად. შენდება სპეციალური საამქრო, რომელიც ყოველწლიურად 30 ათას ტონა ტრაქიტს მიაწვდის ზუგდიდის ფაიფურის ქარხანას. ტრაქიტზე ასევე დიდი მოთხოვნილებაა მინის ტარის წარმოებაში, რაზეც უკვე დავიწყეთ მუშაობა.

ბაკურიანის ანდეზიტის წარმოებაში კი, სადაც მზადდება უნიკალური მჟავაგამძლე ანდეზიტის ფილები და ანდეზიტის ფქვილი, მივაღწიეთ იმას, რომ გავზარდოთ ამ პროდუქციის გამოყენების სპექტრი. ბორჯომის მინის ტარის ქარხანაში დანერგილია მინის წარმოების ახალი ტექნოლოგია, სადაც შემავსებლის სახით იყენებენ ანდეზიტის ფხვნილს. ქუთაისის, ხაშურის, ქსნის მინის ტარის ქარხნებს კი ანალოგიური ნედლეული ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა საბადოდან (აპატიტი, კიროვსკი...) შემოაქვთ. ჩვენი სპეციალისტები ამჟამად ამუშავებენ კონკრეტულ წინადადებებს, თუ როგორ გამოვიყენოთ ანდეზიტის ფხვნილი რესპუბლიკის მინის ტარის ქარხნებში და თუ მოგვერჩა, საზღვარგარეთაც გავყიდოთ.

რთული პოლიტიკური სიტუაციით გამოწვეული ეკონომიკური სიძნელეებისა და ტრანსპორტირების გაძვირების გამო გაძნელდა ქარხნების საზღვარგარეთიდან შემოტანილი ნედლეულით უზრუნველყოფა. გამოსავალი ადგილზე უნდა გვეძებნა. მოვნახეთ კიდეც: რაჭის სამთო-ქიმიურ ქარხანაში რუსეთიდან შემოგვქონდა წყალბადის ჰიდროჟანგი, რაც საჭიროა დარიშხანმჟავაკალას წარმოების ტექნოლოგიაში. ქიმიისა და ელექტროქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტთა მონაწილეობით შეიქმნა წყალბადის ჰიდროჟანგის მისაღები დანადგარი, რომელიც შეგვიძლია მასობრივად დავამზადოთ და მივაწოდოთ რესპუბლიკის საწარმოებს.

ზუგდიდის ქაღალდის კომბინატს გარედან შემოაქვს აქტივირებული კაოლინი, რაც საკმაოდ ძვირი უჯდება. ამ დროს კაოლინის შეცვლა შეიძლება მოდიფიცირებული ცეოლითით. ჩვენთან შემუშავებული ტექნოლოგიის მიხედვით კაოლინი შეიცვალა ადგილობრივი იაფი ნედლეულით — ცეოლითებით. უკვე მიმდინარეობს დანერგვის სამუშაოები, რაც ქვეყანას დიდ ეკონომიკურ ეფექტს მისცემს.

არაერთი ტექნიკური სიახლე დაინერგა „საქგუმბრინის" მაღაროთსამმართველოში. აქ დაიწყო ადგილობრივი ბუნებრივი ნედლეულისაგან პურპლის სარეცხი პასტის მასობრივი წარმოება, დამონტაჟდა ხუთ მილიონ მარკად ღირებული ტექნოლოგიური ხაზი, რომელიც წელიწადში 36 მილიონ ცალ ტუბს გამოუშვებს (თხევადი საპნის, შამპუნის, კბილის პასტისა და სხვა პროდუქციის საწარმოებლად). აქვე ამოქმედდა მილიონნახევარ დოლარად ღირებული შემრევი და ჩამოსასხმელი ხაზები, დაიდგა პოლიეთილენის ბოთლებისა და ქილების დასამზადებელი ჩეხური „ხოდოსები", რისთვისაც გამოიყენება პოლიეთილენის ნარჩენები. მზადდება ტვიფრები მსოფლიო მოწინავე სტანდარტების მიხედვით თხევადი საპნის შემასხურებელი მოწყობილობისათვის.

„ქუთბარიტის" მაღაროთსამმართველოში აითვისეს ახალი პროდუქცია — საფოსტო ლუქი და თერმოპლასტი გზებზე ნიშნულებისათვის. ტალინიდან ჩამოტანილი და დამონტაჟებულია დეზინტეგრატორი კალციტის მიკროდასაფქვავად, რომლის მეშვეობითაც მივიღეთ 40 მილიმიკრონზე წვრილად დაფქული კალციტი. ეს ნედლეული წარმატებით გამოიყენება ლაქ-საღებავების წარმოებაში. ადგილზე მზადდება ზეთისა და მინანქრის დიდი რაოდენობის საღებავები.

საქართველოში გაგვაჩნია ბუნებრივი ცეოლითების დიდი მარაგი. ვერც კი წარმოიდგენთ, იმდენად ფართოა ამ ბუნებრივი სიმდიდრის მოხმარების არეალი. ცეოლითი გამოიყენება ცხოველისა და ფრინველის კომბინირებულ საკვებში დანამატის სახით, სასათბურე მეურნეობაში დეფიციტური ჰუმუსოვანი ნიადაგის შემცვლელად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნიადაგის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად, საქალაქო მეურნეობაში სასმელი და ჩამდინარე წყლების, მრეწველობაში აირების გასაწმენდად... გაერთიანების „საქცეოლითების" წარმოება კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში ყოველწლიურად ათასობით ტონა პროდუქციას გზავნიდა ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, საზღვარგარეთაც. ამ პროდუქციას სხვები ჩინებულად იყენებენ, რესპუბლიკაში კი, მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა, ნაკლებად ინტერესდებიან. არადა, ყოველწლიურად მარტო მეფრინველეობაში შეგვიძლია დამატებითი კომპონენტის სახით გამოვიყენოთ დაახლოებით 100 ათასი ტონა ბუნებრივი ცეოლითი. კომბინირებულ საკვებში ცეოლითის დამატება (3-5 პროცენტით) მკვეთრად ზრდის ფრინველის ყოველდღიურ წონამატს, აუმჯობესებს მის სიცოცხლისუნარიანობას, ხელს უწყობს საკვების მაქსიმალურად ათვისებას, რის შედეგადაც შეიძლება დავზოგოთ დიდძალი კომბინირებული საკვები. პირდაპირ გაოცებას იწვევს: მეცნიერთა მიერ რეკომენდებული 3-5 პროცენტის ნაცვლად კომბინირებულ საკვებში ურევენ მხოლოდ 0,5 პროცენტ ცეოლითს (ამჯერად სოფლის მეურნეობის მესვეურთა რეკომენდაციით) რაც, ბუნებრივია, სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს.

მეფრინველეობაში დიდი ხანია კომბინირებული საკვების მინერალურ დანამატად იყენებენ ზღვის ნიჟარას, რაც შორეული აღმოსავლეთიდან შემოჰქონდათ და ძვირი უჯდებოდათ. „საქცეოლითების" წარმოებაში ადგილობრივი კალციტისაგან დავამზადეთ ზღვის ნიჟარის შემცვლელი ახალი პროდუქცია, რომელშიც კალციუმის ოდენობა გაცილებით მეტია და უფრო ხარისხიანიც არის.

ვფიქრობთ, საგრძნობი პერსპექტივა აქვს „საქცეოლითების" წარმოების აკუმულატორების ქარხანას, რომელიც ახლახან ამუშავდა და სერიულად უშვებს მსუბუქი ავტომანქანების აკუმულატორებს. ქარხანა აღჭურვილია მოწინავე ტექნოლოგიითა და დიდმწარმოებლური დანადგარებით, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვუშვათ ხარისხოვანი აკუმულატორები. ამასთან, გვქონდა მოლაპარაკება იტალიურ ფირმა „იტალ-ჯერსთან", შეიქმნა ერთობლივი საწარმო, რომელიც გამოუშვებს მსოფლიო სტანდარტების დონის აკუმულატორებს. სამისოდ თბილისის სარემონტო-მექანიკური ქარხნის ახალი საამქრო გადაკეთდება აკუმულატორების ქარხნად, ხოლო ზემო ხანდაკში არსებულ ქარხანაში განხორციელდება მოდერნიზაცია.

გაერთიანება დიდი რაოდენობით უშვებს მოსახლეობისთვის საჭირო ფართო მოხმარების საგნებს, ათვისებულია სხვადასხვა სახის კოვზების წარმოება. მალე გამოვუშვებთ ჩრჩილისა და ბუზის საწინააღმდეგო პრეპარატებს. მუშავდება საასლე ქაღალდის ტექნოლოგია, წლის ბოლოს კი გვექნება ნახმარი ზეთების გასაწმენდი ტექნოლოგია.

ფინანსურ-ეკონომიკური პოტენციალის ზრდის მიზნით შევქმენით საკუთარი ბანკი „სამება". ვმუშაობთ საწარმოთა პრივატიზაციისა და სააქციო საზოგადოებათა შექმნის საკითხებზე. გვაქვს კომპიუტერული ცენტრი, საიდანაც ყოველდღიურად ვიღებთ ინფორმაციას საბირჟო ფასებზე.

საყურადღებოა უცხოეთის ტექნოლოგიებზე დაყრდნობით მიკროელექტრონიკაში ფართო მოხმარების პროდუქტის — გალიუმის არსენიდის შექმნის პერსპექტივა. გერმანიის ფირმა „ვინტერთან" ერთად გვსურს ვაწარმოოთ ხელოვნური ალმასები. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტექნოლოგიისა და იმპორტული მოწყობილობა-დანადგარების გამოყენებით გადაწყვეტილი გვაქვს შევქმნათ ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის წარმოება (წელიწადში დაახლოებით 5 ათასი ტონის წარმადობით), გერმანულ ფირმა „აგრასთან" კი შევთანხმდით შევისყიდოთ ტექნოლოგიური ხაზი, რომელიც ბავშვის, ქალისა და მამაკაცის ბამბის წინდებს გამოუშვებს. ყოველივე ამას თუ წარმატებით გადავწყვეტთ, ყოველწლიურად საზღვარგარეთის ბაზარზე გასატანად რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის პროდუქციას ვაწარმოებთ.

ამ დღეებში საქართველოს მთავრობაში შევიტანეთ წინადადება „სამთო ქიმიაში" გაერთიანდნენ ის საწარმოები, რომლებიც მუშაობენ ანალოგიური პროცესებით. ესენია ბოლნისის მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთსამმართველო, ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთსამმართველო, ტყვარჩელის დოლომიტის საბადოს საწარმო, ხონის ქარხანა „პოლიმერკონტეინერი" და სხვები.

ასეთი სახის გაერთიანება, ჩვენი აზრით, უზრუნველყოფს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, ტექნიკური განახლების და რეკონსტრუქციის დაჩქარებას, საწარმოო სიმძლავრეების და რეზერვების სწორ და მაღალეფექტიან გამოყენებას, შრომის ნაყოფიერებისა და რენტაბელობის ზრდას.

ყოველივე ეს კი საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს რესპუბლიკის მშრომელთა ეკონომიკური, სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები. ვფიქრობთ, რესპუბლიკის მთავრობა მხარს დაგვიჭერს.

ისტორიულ გზაჯვარედინზე

ცოტა ხანში ნამდვილად ბევრი რამ მოასწრო

რამაზ კლიმიაშვილი,

საზოგადოებრივი მოძრაობა „დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს" ყოფილი კოორდინატორი

ზუსტად ერთი წელი შესრულდა საქართველოს დემოკრატიული მოძრაობის „დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს" (დედეესი) დაარსებიდან. დედეესი არ იყო ცალკე ორგანიზაცია, იგი იყო პარტიათა და ცალკეულ პოლიტიკოსთა გაერთიანება და ელიტარული სახალხო ფრონტისა თუ ფორუმის როლს ასრულებდა. წინა ფრონტებისა თუ ფორუმებისგან განსხვავებით, იგი არ დაშლილა, უბრალოდ რაღაც ისტორიულ მომენტში საჭირო იყო მისი არსებობა, ხოლო შემდეგ, როდესაც თავისი ფუნქცია შეასრულა, პოლიტიკური ასპარეზი დატოვა.

დედეესმა ჯერ კიდევ თებერვალში გამოაცხადა, რომ დემოკრატიულობის პრინციპებიდან გამომდინარე, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდა, როგორც ორგანიზაცია. ახლა ვხედავთ, რომ პარლამენტის არჩევნებში მეორე და მესამე ადგილზე გამოვიდნენ დედეესის წამყვანი მოღვაწეებით დაკომპლექტებული ბლოკები: გავიხსენოთ, რომ „11 ოქტომბრის" ბლოკის სატელევიზიო გამოსვლებში ხაზგასმული იყო, რომ მათ სახელმწიფო საბჭოში 18 წევრი ჰყავდათ — თითქმის ყველანი შარშან ამ დროს დედეესის წამყვანი წევრები იყვნენ, ისევე როგორც „ერთობაში" მყოფი ცნობილი პიროვნებები, მწვანეთა პარტიაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელიც დედეესის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო; დედეესის საბჭოს წევრები იყვნენ „ქართია 91-ის" ლიდერები, ასევე მონაწილეობდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ცალკეული ხელმძღვანელები.

დედეესი, როგორც დემოკრატიული ორიენტაციის პოლიტიკური პარტიების და პიროვნებათა გაერთიანება, დაარსდა 19 ოქტომბერს, თუმცა პირველი შეხვედრა გაიმართა ერთი კვირით ადრე — 13 ოქტომბერს. ამას კი წინ უძღოდა სისხლიანი 5 ოქტომბერი. ამ დარბევის შემდეგ მაშინდელი პოლიტიკური ოპოზიციისთვის ნათელი გახდა, რომ ქუჩის ბარიკადების გზით დემოკრატია ვერ გაიმარჯვებდა და დაიწყო ოპოზიციის ახალი გზების ძიება. ამ ახალი გაერთიანების დამაარსებელი იყო ხუთი პოლიტიკური პარტია (იდეა, რასაკვირველია, „დახი"-დან მოდიოდა!), რომელსაც შემდეგ სხვა პარტიებიც დაემატნენ როგორც მთლიანად, ისე თავისი ინდივიდუალური წევრებით.

1991 წლის 13 ოქტომბერს კინოს სახლი, რომელიც შემდეგ ამ ორგანიზაციის შტაბი გახდა, ვერ იტევდა ოპოზიციური ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ჩვეულებრივ, გამომსვლელთა შორის უფრო მეტად ვხედავდით ცნობილ ადამიანებს, რომელთაც სახელი მოიხვეჭეს ზოგმა პოლიტიკაში, ხოლო სხვებმა — მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში. პირველი სერიოზული დავა გაიმართა სახელწოდების გამო, მაგრამ ბოლოს ყველა შეთანხმდა ლაკონიურ სათაურზე, რომელიც გამოხატავდა ამ მოძრაობის არსს: „დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო", ე. ი. ჩვენ არ გვინდოდა დემოკრატია უდამოუკიდებლობოდ, ისევე როგორც არ გვინდოდა დამოუკიდებლობა უდემოკრატიოდ; ჩვენთვის მისაღები იყო და არის მხოლოდ ორივე ერთად და ერთდროულად — დამოუკიდებლობა და დემოკრატია!

ვინაიდან საქართველო ევროპისა და აზიის საზღვარზეა, მისთვის ძნელი აღმოჩნდა ორი ურთიერთგამომრიცხავი პოლიტიკური მსოფლმხედველობის სინთეზი, რომლებიც გარკვეულად გეოგრაფიასთან არის დაკავშირებული: როგორც ცნობილია, დასავლეთის, ევროპის პოლიტიკური კულტურა აქცენტს აკეთებს პიროვნებაზე, მის თავისუფლებაზე, დემოკრატიაზე; ამის საწინააღმდეგოდ აღმოსავლეთის, ე. ი. აზიის პოლიტიკური ტრადიცია აქცენტს აკეთებს კოლექტივიზმზე, ავტორიტარიზმსა და დესპოტურ მმართველობაზე. ცნობილია, რომ რუსეთი ჩვენში ნერგავდა მეორე, ე. ი. აზიურ კოლექტივისტურ პოლიტიკურ აზროვნებას, რომლის ყველაზე გრაფიკული გამოხატულებაა ცხვრის ფარა თავისი მწყემსითა და ნაგაზებით. ბოლო ხანს ნათლად გამოიკვეთა, რომ ამ აზროვნებამ გარკვეულწილად ფეხვი გაიდგა ჩვენშიც, თუმცა იგი ისტორიულად არ ესადაგება ტრადიციული ტიპის ქართულ აზროვნებას.

ამავე მსოფლმხედველობის იყო წინა რეჟიმიც, რომლისთვისაც, მართალია, მთავარი იყო დამოუკიდებლობა, რომელიც იზოლაციონიზმში ერეოდათ, მაგრამ ამავე დროს ინერგებოდა აღმოსავლური ტიპის წყობა — გავიხსენოთ მსგავსი პოლიტიკური სტრუქტურები იზოლაციონისტურ აზიურ ქვეყნებში: ირანი, ერაყი და სხვები მათი ერთპიროვნული ავტორიტარული პრეზიდენტებითა და ფანატიკური მასებით. ამის საწინააღმდეგოდ კინოს სახლში შეკრებილთა იდეოლოგია მთლიანად ეფუძნებოდა ყოველი ცალკეული ადამიანის პირად ღირსებას, თავისუფალი არჩევნის უზენაესობას, ყოველივე იმას, რაც შეადგენს დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკური აზროვნების ქვაკუთხედს.

აქედან ჩანს, რომ ჩვენთვის გარდაუვალი იყო კონფლიქტი არსებულ ხელისუფლებასთან ჩვენი დიამეტრულად განსხვავებული პოზიციის გამო. თვითონ ორგანიზაციაც წინასწარ განზრახვად დაემსგავსა ოპოზიციურ, „სათადარიგო" პარლამენტს თავისი საპარლამენტო ტიპის კომისიებით, რომლებიც მაშინვე ამუშავდნენ. საგულისხმოა, რომ ჩვენს დამფუძნებელ შეხვედრაში ღიად მონაწილეობდა ბ-ნი თენგიზ სიგუა, რომლის დაპატიმრების ორდერი უკვე გაეცათ და მისთვის ჩვენთან მოსვლა და ქალაქში გამოჩენა მეტად სარისკო იყო.

დედეესის მთავარი სიმდიდრე იყო მისი ინტელექტუალური პოტენციალი — მასში გაერთიანდნენ როგორც ცნობილი პოლიტიკოსები, ისე გამოუსწორებელი იდეალისტები მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროდან, რომლებიც აქ მოსვლით ყველაფერს, განსაკუთრებით კი თავიანთ კომფორტულ ცხოვრების პირობებს კარგავდნენ. მართლაც, დედეესის შექმნის ერთი თვის თავზე მაშინდელმა პრეზიდენტმა გენერალურ პროკურორს გადასცა დასაპატიმრებელი 28 კაცის სია, რომლებიც ცხადია, ამ პოლიტიკური გაერთიანების აქტივისტები იყვნენ.

ძნელი წარმოსადგენია, ვინმეს ჩვენ აგრესიულ ხალხად ჩავეთვალეთ, ყოველ შემთხვევაში მხცოვანი მეცნიერები ქ-ნი მზექალა შანიძე ან ბ-ნი ალექსანდრე ჯავახიშვილი ხომ მაინც ჩვენი ზომიერების სიმბოლოები უნდა ყოფილიყვნენ, თუ კინორეჟისორებს ქ-ნ ლანა ღოღობერიძესა და ბ-ნ ელდარ შენგელაიას არ ენდობოდნენ! მაგრამ მთავრობის სახლის წინ შეკრებილ დიაცებს სისტემატურად მოუწოდებდნენ ჩვენი დარბევისაკენ, მაგრამ ისინი მთავრობის პროპაგანდას ერწმუნენ ჩვენი „აგრესიულობის" შესახებ და... ვერ ბედავდნენ დასარბევად მოსვლას.

დედეესის მთავარი მიღწევა იყო ავტორიტარიზმის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. დედეესის წევრები თავიანთი პუბლიკაციებისთვის იყენებდნენ სამ ოპოზიციურ გაზეთს, რომელთა რედაქტორებიც დედეესის წევრები იყვნენ: დამოუკიდებელი გაზეთი „დრონი", სახალხო ფრონტის გაზეთი „საქართველო" და მწვანეების გაზეთი „დედამიწა". სამივე ეს გაზეთი ფართოდ უთმობდა თავის ფურცლებს დედეესში წარმოდგენილ ცნობილ პუბლიცისტებს, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა საზოგადოებრივი აზრის მომზადებაში არსებული ხელისუფლების შეცვლის აუცილებლობაზე.

პირველი დეკემბრის არალეგალურ შეხვედრაზე დედეესისა და საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება არსებული ავტორიტარული ხელისუფლება დაემხოთ მშვიდობიანი გზით, და ამის გზაც ნათლად ჩანდა! მაგრამ ამ პერსპექტივამ შეაშინა მაშინდელი ხელისუფლება და როდესაც დედეესმა მორიგი ოპოზიციური მიტინგი მოაწყო 21 დეკემბერს, მის მონაწილეებს თოფი დაუშინეს პრეზიდენტის შეიარაღებულმა მომხრეებმა, რის შემდეგაც თბილისის ქუჩებზე დაბანაკებული გვარდია მოვალე იყო ჩარეულიყო. ამას კი მალე ლოგიკურად მოჰყვა იმ ხელისუფლების გაქცევა სისხლით მორწყული გზით.

დედეესისთვის დამთავრდა ოპოზიციის პერიოდი და დაიწყო ახალი ხანა — დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი თენგიზ სიგუა დედეესის საბჭოს წევრი იყო, ოთხივე ვიცე-პრემიერი — ბ-ბი ს. კავსაძე, რ. გოცირიძე, ი. სურგულაძე და ბ. კოლუაშვილი — დედეესის კოორდინატორები, და ა. შ. ასევე მალე, ბ-ნი ედუარდ შევარდნაძის თბილისში დაბრუნების შემდეგ შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, რომელიც რაოდენობით თუ შემადგენლობით საკმაოდ ჩამოჰგავდა დედეესის საბჭოს და ეს შემთხვევითი არ იყო.

დედეესის მოღვაწეობიდან ყველაზე აღსანიშნავია შემდეგი — უკვე იანვარშივე მან მთავრობას მოუმზადა სამი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომლებიც მაშინვე მიიღეს: ბინების უფასო პრივატიზაციის, უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესების სრული ავტონომიის და გაზეთების მთავრობის კონტროლიდან გამოსვლის შესახებ. აქედან ნათლად ჩანს, რომ სწორი არ არის იგი აღვიქვათ, როგორც მხოლოდ ოპოზიციური გაერთიანება.

მაგრამ ვინაიდან დედეესის კოორდინატორები და სხვა წამყვანი წევრები სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობაში აღმოჩნდნენ, თანდათან უფუნქციოდ დარჩა ეს გაერთიანება, თან მოუცლელობის გამო სულ უფრო ჭირდა მისი წევრების შეკრება. ამიტომ საინტერესოა, რომ თავისი უკანასკნელი სერიოზული აქტი დედეესმა თავისთვის უჩვეულო სფეროში ჩაატარა: მიიღეს დადგენილება მცირე სასოფლო ტექნიკის განვითარების შესახებ, ურომლისოდაც მიწის პრივატიზაციაც შეუძლებელი იქნებოდა — ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი დედეესის ენერგიულმა კოორდინატორმა ბ-მა თემურ შაშიაშვილმა.

ცოტა ხანი აქტიურობდა ქართული ინტელექტუალურ-პოლიტიკური ელიტის ეს გაერთიანება, მაგრამ ამ ცოტა ხანში ნამდვილად ბევრი რამ მოასწრო როგორც დესპოტიზმის წინააღმდეგ, ისე დემოკრატიზაციისთვის ბრძოლაში! თუ გავითვალისწინებთ, თუ რა ხალხი იყო მასში გაერთიანებული, ალბათ, კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბევრი მათგანი ამჟამად ან პარლამენტშია ან მთავრობაში, დემოკრატიის იდეალების გამარჯვებაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. ხოლო დედეესის ის აქტივისტები, რომლებმაც ამჟამად პოლიტიკას თავი დაანებეს და თავიანთი სულიერი წყობისთვის უფრო ახლობელს — მეცნიერებასა თუ ხელოვნებას დაუბრუნდნენ, დემოკრატიის დაცვის რეზერვისტებად შეიძლება ჩავთვალოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც თვითონ ცხოვრებამ წამოჭრა...

მაღაზიებში პურის შეტანისათვის სპეცავტოტრანსპორტის საწვავით უზრუნველყოფის საკითხი კვლავ წამოიჭრა მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რესპუბლიკური კომისიის მორიგ სხდომაზე. სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის პაატა კოღუაშვილის თავმჯდომარეობით, გამონახეს ბენზინის შესყიდვისა და შემოტანის, პურის მანქანებისათვის საწვავის სტაბილური მარაგის შექმნის ახალი შესაძლებლობები.

კომისიაზე აღინიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოვიდა ჰუმანიტარული დახმარებით — ხორბლით, ფქვილით დატვირთული ხომალდები. თუმცა გარკვეული დრო დასჭირდება ჩამოტანილი ტვირთის სპეციალურ დამუშავებას, მისი პურის ცხობისათვის მომზადებას. რამდენადმე გაჭიანურდა უკრაინიდან ხუთი ათასი ტონა ფქვილის მოწოდება. საჭიროა უფრო სწრაფად გავგზავნოთ ოდესაში ბარტერული გაცვლისათვის განკუთვნილი ჩაი.

სხდომაზე განიხილეს პურფუნთუშეული ნაწარმის ფასებთან, მათი გაყიდვის ნორმირებული პრინციპის შემოღებასთან დაკავშირებული საკითხები. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ყოველი მოქალაქისათვის გარანტირებული იყოს პურფუნთუშეულის სადღეღამისო ნორმის მიღება. გამოითქვა აზრი, რომ პურის ნაწილი მოსახლეობის ყველაზე ნაკლებად დაცულ ფენებს უნდა მიეყიდოთ ფიქსირებული ფასებით. მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ყველა ამ საკითხის თაობაზე მიღებული არ ყოფილა, მათი განხილვა გაგრძელდება.

კომისიამ გააკრიტიკა შესაბამისი სამეურნეო სამსახურები, რომლებიც აჭიანურებენ კარტოფილის, ყველის გამოტანას ახალქალაქის, ხოლო კომბოსტოს გამოტანას ადიგენის რაიონებიდან.

მოისმინეს ინფორმაცია იმ პირველი საჭიროების მთელი რიგი პროდუქტების ნორმირებული განაწილებისათვის ვაჭრობის სამინისტროს მზადყოფნის შესახებ. რომელთა რეალიზაციას უახლოეს დღეებში აპირებენ.

„სისხლისღვრის შეწყვეტა ჯერ კიდევ შეიძლება"

(დასასრული)

ქართული მხარის ქცევა გვიჩვენებს: იგი დაინტერესებული არ არის კონფლიქტის ნორმალური ცივილიზებული მოგვარებით. მაგრამ ამავე დროს საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებს და მსოფლიო გაერთიანებას მიმართავს, თუმცა დარწმუნებული ვართ: ყველაფერი შეიძლება გადაწყდეს დაპირისპირებული მხარეების მოლაპარაკებით და რუსეთის და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მონაწილეობით.

საქართველოს წარდგინებით, ჩვენთან ორჯერ იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დელეგაცია: ბოლო ვიზიტმა საშინელი შთაბეჭდილება დატოვა. ჩამოვიდნენ თბილისის მონახულების შემდეგაც და ჩვენთან, ისე, ფორმალურად შემოირბინეს. ვეუბნებოდით: წავიდეთ ერთად იქ, სადაც ომი იყო და გრძელდება, გაეცანით მასალებს, რომლებიც დაგანახვებთ, თუ რა ქვეყანა და სახელმწიფოა აფხაზეთი, ყველაფერს მოგართმევთ, რაც საჭიროა. თითქმის არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია...

— თქვენი აზრით, ქართულმა მხარემ რა დასკვნები გამოიტანა გაგრის ოპერაციაში მარცხის შემდეგ.

— იგი დარწმუნდა, რომ აფხაზებს მარტო თავდაცვა კი არა, შეტევაც შესძლებიათ. თბილისი ახლა გვიყურებს, როგორც სამხედრო ძალას, უფრო სერიოზულად, ვიდრე წინათ. ჯიუტად უმალავენ საკუთარ ხალხს მსხვერპლს, იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის დანაკარგების ნამდვილ რაოდენობას.

აი საგულისხმო დოკუმენტი — დიდი თანამდებობის მოხელის დღიური, რომელიც აფხაზეთში სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენელია. მის გვარს ახლა ვადგენთ. ჰოდა, თუ ჩანაწერების მიხედვით ვიმსჯელებთ, ქართულმა მხარემ ჯერ კიდევ გაგრის ოპერაციამდე აფხაზეთში 256 კაცი დაკარგა და 900-ზე მეტი დაიჭრა. მე სამხედრო კაცი არა ვარ, მეცნიერი ვარ, და სრულიადაც არ მახარებს ეს ციფრები, ადამიანი ადამიანია. სწორედ ამიტომ შევთავაზე მოწინააღმდეგეს გაგრიდან გაეყვანათ იმ დღეებში დახოცილები და დაჭრილები. გაგიკვირდებათ, მაგრამ უარი თქვეს! მე მგონია, ამიტომ, რომ გამოქვეყნება არ სურთ. ცხადია, უნდა გავითვალისწინოთ, რომ გაგრის დაჯგუფებაში ბევრი ამნისტიით განთავისუფლებული დამნაშავე იყო. 1992 წელს 20 ათასი პატიმრიდან გაათავისუფლეს 18,5 ათასი, მათ შორის ყაჩაღობისთვის მსჯავრდადებულნიც. მაგრამ ვიღაცისთვის ისინი დამნაშავენი არიან, ახლობლებისთვის კი შვილები, ძმები, მამები...

— გუმისთის ორივე ნაპირზე მხარეები ძალებს უყრიან თავს. როგორც ჩანს, მათი შეტაკება გარდაუვალი ხდება. ეთანხმებით ამას?

— არა. ფატალურ გარდაუვალობად ვერ მივიჩნევ ამას. მე მგონია ჯერ კიდევ შეიძლება სისხლისღვრის შეწყვეტა. კვლავ გავიმეორებ: იმ პირობით, თუ ქართულ ჯარს გაიყვანენ სასაზღვრო მდინარის, ენგურის გაღმა. აბა, როგორ შეიძლება ახლა მოლაპარაკების წარმოება, როცა ისინი ყოველ საღამოს „გრადებს" უშენენ სანაპირო სოფელ ეშერას, ჩვენს პოზიციებს, ხალხსა და პირუტყვს ხოცავენ და სახლებს ანგრევენ. გაგრის ოპერაციის შემდეგ ჩვენ შეგვეძლია ვუპასუხოთ, არტილერიის ცეცხლი დავუშინოთ, მაგალითად, მათს შტაბს სოხუმში. მაგრამ იქ ხომ ხალხი ცხოვრობს — აფხაზები, ქართველები, რუსები.

— ცნობილია, რომ საზღვარგარეთ, მაგალითად, თურქეთში, სირიაში და სხვა ქვეყნებში მრავალრიცხოვანი აფხაზური დიასპორაა, რომელსაც ძალზე აწუხებს ისტორიულ სამშობლოში შექმნილი ვითარება... რამდენად შესაძლებელია უცხოელ აფხაზთა მონაწილეობა თქვენს შეიარაღებულ წინააღმდეგობაში?

— მე არ გამოვრიცხავ ამას, ენგურის გაღმიდან ჩვენთან მოსული ხალხი ხომ ჩილიკაჯოხს არ თამაშობს. საქმე ეხება აფხაზი ხალხის ფაქტობრივ გენოციდს, ჩვენს, როგორც ერის, ყოფნა-არყოფნას. ჯერჯერობით კი დიასპორა, ისინი, ვისაც ჩვენ აფხაზეთის მოქალაქეებად ვთვლით ფინანსურად და ჰუმანიტარულად გვეხმარებიან, მედიკამენტებს გვიგზავნიან.

— ჩრდილოკავკასიელ მოლაშქრეებს, რუსეთის სხვა რეგიონებიდან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან ჩამოსულ მებრძოლებს რა პირობით იღებთ?

— ეგრეთ წოდებულ დაქირავებულებს გულისხმობთ? მათ არავითარი ფული არ ეძლევათ. ისინი ფულის გულისთვის არ იბრძვიან და აფხაზთა სამხედრო სარდლობას ექვემდებარებიან.

— როგორც შევიტყვე, ბევრი მათგანი ომის შემდეგ სამუდამოდ აპირებს აფხაზეთში დარჩენას, მოქალაქეობის და ბინის მიღებას ამ ზღაპრულ მხარეში... ეს გამარჯვებაში მონაწილეობისთვის ქირა ხომ არ არის?

— არა, ეს ქირა კი არ არის, ჩვენი ხალხის მადლიერებაა იმათდამი, ვინც ძნელბედობის ჟამს დასახმარებლად მოვიდა. და მინდა იცოდეთ, რომ ასეთი პირობა წინასწარ არც ერთ მოხალისეს არ წამოუყენებია.

— როგორც ჩანს, საქმე ეხება იმ საცხოვრებელ სახლებსა და ბინებს, რომლებიც აქედან გაქცეულმა აქაურმა ქართველებმა მიატოვეს, ან იმათ ბინებს, ვინც სახელმწიფო საბჭოს ადმინისტრაციასთან და ჯარებთან თანამშრომლობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამ მოქალაქეებზე თქვენს რესპუბლიკაში აფხაზებისგან სულ სხვადასხვაგვარი, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი მსმენია. ვთქვათ ასეთი — „ვინც დამნაშავე არ არის, დაე, დაბრუნდეს, მტრად არავის ვთვლით", ან — „ქართველები აფხაზეთში ვეღარასოდეს ვეღარ იცხოვრებენ". თქვენ რა აზრისა ბრძანდებით?

— მე მგონია, იმათ, ვისაც მართლაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის ჩვენი ხალხის წინაშე, ვერავინ და ვერაფერი ვერ შეუშლის ხელს დაბრუნდნენ სამშობლოში — აფხაზეთში. დამნაშავენი კი კანონის წინაშე აგებენ პასუხს — ყოველი მათგანი პერსონალურად, კონკრეტული დანაშაულისა და ბრალეულობისთვის.

— მერედა, ხალხი გაიზიარებს თქვენს პოზიციას, თუნდაც უდანაშაულო, მაგრამ მაინც ქართველების მიმართ?

— ყველა. არა, დარწმუნებული ვარ. ზოგს მოთმინებით უნდა აეხსნათ, რომ ჩვენ ქართველ ხალხს კი არ ვეომებით, არამედ იმ დამნაშავეებს, ვინც სახელს უტეხს მას.

გუდაუთა. 19 ოქტომბერი.

„იზვესტია". 1992 წ. 20 ოქტომბერი.

საზრისი

არჩევნები, აფხაზეთის ომი და... რუსეთი

გივი ბოლოთაშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის" პოლიტიკური მიმომხილველი

პარლამენტის ახლანდელი არჩევნები საქართველოში უჩვეულო პირობებში მოეწყო. მძვინვარებს ეკონომიკური კრიზისი, აფხაზეთის ომი, დასავლეთ საქართველოში ექს-პრეზიდენტის მომხრეთა გამოხდომები, რუსეთთან უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა — აი ის, რაც თან ახლდა არჩევნებს, მაგრამ ყველა სერიოზული პოლიტიკოსის აზრით, არჩევნები აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო, თორემ ქაოსი და ანარქია, თვით რესპუბლიკის დაშლაც კი გველოდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. აი, უკვე 10 დღეზე მეტია რესპუბლიკა ლეგიტიმური ხელისუფლების პირობებში ცხოვრობს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის პოლიტიკური გამოუცდელობით თუ შინააშლილობით დაქანცვის გამო, ახალ პარლამენტში საკმაოდ ბევრი ყოფილი პარტიული თუ საბჭოთა ფუნქციონერი აირჩიეს, რომლებიც სიტყვით თითქოს გარდაიქმნენ, მაგრამ საქმით ჯერჯერობით არ გამოუჩენიათ თავი.

ჩვენმა ხალხმაც, დასავლეთის სამყარომაც თავისუფლად ამოისუნთქა, რომ ბატონი ე. შევარდნაძე ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე აირჩია, მაგრამ ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რა ფუნქციებს შეასრულებს იგი, რით შემოიფარგლება მისი უფლებამოვალეობანი. უკვე აქედან ჩანს, რომ პარლამენტში არჩეულ ნომენკლატურას დაუპირისპირდება ბლოკი „11 ოქტომბერი" და დაუპირისპირდება არა მარტო მას, არამედ ე. შევარდნაძესაც, თუკი ამ უკანასკნელმა ძველი პარტიული და სახელმწიფო კადრები თავის დასაყრდენად გაიხადა პარლამენტში.

როგორც პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტი წარმოადგენს მეტად ჭრელ, მოზაიკურ სურათს, რომელიც იმავე დროს ძალიან კარგი პოლიგონი იქნება ფრაქციული ბრძოლებისთვის. ამერიკის ერთი დამაარსებელ მამათაგანი, შემდეგში ქვეყნის პრეზიდენტი ჯეიმს მედისონი თვლიდა, რომ ადამიანები ხშირად ცდებიან არჩევანში და ამიტომაც ხელისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე შეიძლება აღმოჩნდნენ ფანატიკოსები, პატივმოყვარე და უვიცი ადამიანები. ამგვარი შეცდომების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ქვეყნის კონსტიტუციაში მისი საწინააღმდეგო მექანიზმის ჩადება და მისი განუხრელად შესრულება, რადგან, როგორც მედისონი ამბობდა, „ადამიანებს ანგელოზები არ მართავენ". ამერიკელთათვის ამგვარი მექანიზმი აღმოჩნდა სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, თანაც ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიეცეს დანარჩენებზე გაბატონების საშუალება.

ამბობენ, წინათ კარგად ვცხოვრობდითო. არა იმ გაგებით, რომ მართლა კარგად ვცხოვრობდით და საზრდო გვქონდა, არამედ იმ გაგებით, რომ ყველაფერი გასაგები იყო. ჩვენ ვიცოდით, რომ ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს, რომ უნდა ვაშენოთ იაფად, სწრაფად და კარგად. რომ პოლიტიკა პოლიტიკური უნდა იყოს, ხელოვნება — ხელოვნური და სექსი სოციალისტური. ახლა კი სადა ვართ და რა ხდება ჩვენს თავს, მარტო მაღალმა ღმერთმა თუ იცის. აი, სწორედ ამ გაურკვევლობას უნდა მოუღოს ბოლო ახალმა პარლამენტმა. გვჯერა, რომ ახალმა პარლამენტმა უწინარესად რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების გარდა უნდა მიხედოს აფხაზეთის კონფლიქტს, სადაც სულ უფრო მეტად ერევა რუსეთი. როგორც ჩანს, რუსეთის გარკვეულ წრეებს ხელს აძლევს კონფლიქტის გახანგრძლივება. საქმე ის არის, რომ კონფლიქტის გახანგრძლივება ართულებს მის რეგულირებას. იზრდება მსხვერპლის რაოდენობა, გროვდება სიძულვილი, ასეთ პირობებში მოსახლეობა თვითონ ახდენს ზემოქმედებას მთავრობაზე არა იმისთვის, რომ მოეწყოს მოლაპარაკება, არამედ პირიქით, შურისძიების გააქტიურებისათვის. ყველა ხანგრძლივი კონფლიქტი ფენებად იშლება — იქმნება მრავალი ლოკალური ჯგუფი, რომლებიც უკვე თვითონ იღებენ გადაწყვეტილებებს საბრძოლო მოქმედებების შესახებ და არ ემორჩილებიან ცენტრალურ ხელისუფლებას. მტრობის ფსიქოლოგია ღრმად ჯდება მასობრივ ცნობიერებაში, მასში დიდხანს რჩება და ხელს უშლის მშვიდობის დამყარებას. და მაინც, კონფლიქტების ინერცია არ იქნებოდა ესოდენ დამანგრეველი მოლაპარაკების პროცესისათვის, რომ მას ხელს არ უწყობდნენ გარკვეული პოლიტიკური ძალები, როგორც რუსეთში, ისე აფხაზეთში, რომლებსაც ამ სიძულვილის ენერგიის გამოყენება სურთ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

როგორც უკვე რუსული პრესის მასალებიდან ჩანს, იმ დროს, როცა მიმდინარეობდა კონტაქტები რუსეთის პრეზიდენტ ბ. ელცინსა და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ე. შევარდნაძეს შორის, მოეწყო შეხვედრა აფხაზ სეპარატისტთა ლიდერ არძინბას და რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივან ი. სკოკოვს შორის აფხაზეთისთვის იარაღის მიწოდების თაობაზე. ამგვარი „ორმაგი სტანდარტის" ტაქტიკა რუსეთმა უკვე წარმატებით გამოსცადა დნესტრისპირეთში, როცა ბ. ელცინი ძმობასა და მეგობრობას ეფიცებოდა მოლდოვეთის პრეზიდენტს მ. სნეგურს, მისი გენერალი ლებედი კი ხალისიანი თავხედობით ემუქრებოდა მოლდოვეთის პრეზიდენტს. ჩვენს მიმართაც ასეა: იმ დროს, როცა ბ. ელცინი ბ-ნ ე. შევარდნაძეს ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამდა, რუსეთის თავდაცვის მინისტრი პ. გრაჩოვი მკაცრად გვაფრთხილებდა, რომ თავი შეგვეკავებინა რუსეთის არმიის იარაღის ხელში ჩაგდებისგან. დაუდგენელია, პრეზიდენტი და მისი თავდაცვის მინისტრი დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, თუ შეთანხმებული იყვნენ, მაგრამ, როგორც რუსი მიმომხილველი ვ. ვიეუტოვიჩი შენიშნავდა, რუსეთში ხშირად დიპლომატიური სიბეცე დიპლომატიური ხელოვნების უმაღლეს გამოვლინება ჰგონიათ.

მეზობელ ქვეყანაში კონფლიქტის გაჩაღება მისი დაუძლურების მიზნით, შემდეგ კი მისი დასჯა ან ანექსია, მისთვის საკუთარი სურვილების თავს მოხვევა, ანდა ტერიტორიის რაღაც ნაწილის წაგლეჯა, ან პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცევა. — ეს არის „გათიშე და იბატონეს" პოლიტიკის უძველესი ტაქტიკური ფანდი, რის გატარებასაც ჩვენს მიმართ ცდილობენ რუსეთის გარკვეული წრეები, როცა რუსეთის გარკვეულ წრეებს ვადანაშაულებთ, ის შემთხვევითი არ არის. ჩვენს მიმართ მტრული მოქმედების მაგალითები მრავლადაა, მაგრამ უმთავრესი მაინც ჩვენს ტერიტორიაზე რუსეთის არმიის ყოფნაა. საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთის ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე ყოველგვარი სამართლებრივი სტატუსის გარეშე იმყოფებიან, ეს კი მათ საშუალებას აძლევს იმოქმედონ თავისუფლად, ჩვენ დაუკითხავად, რაც მათ მოქმედებას არაპროგნოზირებადს და უმართავს ხდის. როგორც ამ ზაფხულს ამ ჯარის ნაწილების გორში თარეშმა, ხოლო ახლა აფხაზეთში მათმა საქმიანობამ გვიჩვენა, ისინი დესტაბილიზაციისა და საშინაო საქმეებში ჩარევის სერიოზულ საფრთხეს ქმნიან.

თანამედროვე რუსეთის იდეოლოგები, უჭერენ რა მხარს აფხაზ სეპარატისტებს, წინა პლანზე აყენებენ არა ტერიტორიული მთლიანობის, არამედ თვითგამორკვევის პრინციპს, რითაც თავს მეტად უხერხულ მდგომარეობაში იყენებენ. ისინი ისეთ სისულელემდეც კი მიდიან, რომ აცხადებენ, — „თუ საქართველო გამოეყო საბჭოთა კავშირს, რატომ არ უნდა ჰქონდეთ აფხაზებსაც საქართველოსგან გამოყოფის უფლება?". „დღევანდელ ნეოიმპერიალისტებს" ვერ გაუგიათ (ან არ სურთ ამის გაგება), რომ ტერიტორიული მთლიანობის ჰელსინკის პრინციპი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთა თვითგამორკვევის ვიწროდ გაგებული უფლება. თვითონ პოლიტიკოსებიც კი, რომლებიც ჯავაჰარლალ ნერუს მეთაურობით ქადაგებდნენ ხალხების თვითგამორკვევის უფლებებს, გამოდიოდნენ ეთნიკური სეპარატიზმისა და ტომობრივი დაქსაქსულობის წინააღმდეგ. რუსეთის რეაქციულ წრეებს ვერ გაუგიათ, რომ ეთნოკონფლიქტები მსხვერპლის რაოდენობით და დამანგრეველი შედეგებით ფაქტობრივად გაუტოლდა მესამე მსოფლიო ომს.

ამჟამად განვითარებული, ცივილიზებული ქვეყნები პოლიეთნიკურობით გამოირჩევიან. დღეს ფაქტობრივად შეუძლებელია საზღვრის ცვლილება ისე, რომ ორი ეთნიკურად სხვადასხვა სახელმწიფო შეიქმნას, ფაქტობრივად ამ ახლად შექმნილ სახელმწიფოებში მაინც დარჩება ეთნიკური უმცირესობა. გამორიცხული არ არის, რომ ამ უმცირესობებშიც შემდეგში თვითგამორკვევა მოითხოვონ. რაგინდ ხელსაყრელი პირობებიც უნდა არსებობდეს განვითარებისათვის, რაღაც მომენტში რომელიმე ეთნიკური ჯგუფი შეიძლება უმცირესობაში აღმოჩნდეს და მოითხოვოს თვითგამორკვევა. ზოგჯერ ეთნიკური ჯგუფი ისეა გაფანტული ძირითად მოსახლეობაში, რომ თავისი დეპუტატის არჩევაც არ შეუძლია, მაგრამ თუ კონცენტრირებულია რაღაც ტერიტორიაზე, ან ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც ის უმრავლესობას წარმოადგენს, იგი თავის პრობლემების გადაწყვეტის აუცილებელ პირობად „თვითგამორკვევას" წამოაყენებს, რადგან გამოყოფა მას მაშინვე უმცირესობიდან უმრავლესობად აქცევს. შემდეგ ამ ახალ ერთეულშიც იქნება უმცირესობა და ასე დაუსრულებლად. ამიტომაცაა, რომ გაეროა თუ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, წინა პლანზე ტერიტორიულ მთლიანობას აყენებს.

ერთა თვითგამორკვევით კეკლუცობასა და აფხაზ სეპარატისტთა მხარდაჭერაში რუსეთის რეაქციულმა წრეებმა ისე შორს შეტოპეს, რომ შეიძლება საკუთარი სახელმწიფო თავზე დაენგრეთ, განსაკუთრებით — ჩრდილოეთ კავკასიაში. პრეზიდენტ ბ. ელცინს კარგად ესმის, რომ თუ ე. შევარდნაძეს დაუჭერს მხარს, ამან შეიძლება მკვეთრად გააძლიეროს ომის ხანძრის საშიშროება ჩრდილოეთ კავკასიაში. აკი მთიელ ხალხთა კონფედერაციამ წამოაყენა კიდეც რუსეთთან ფედერაციული ხელშეკრულების გაუქმების წინადადება. აფხაზეთის მაგალითმა რუსეთს აჩვენა, რომ, თუ იგი დაუპირისპირდება ჩრდილოეთ კავკასიას, მაშინ მას მოუწევს ომში ჩაბმა, ხოლო სეპარატისტებისთვის დახმარებას და ამ რესპუბლიკებთან ახალი ურთიერთობის დამყარებას იგი ვეღარ ახერხებს. ის ფანდი, რომელსაც რუსეთი მოლდოვეთთან ან ჩვენთან მოლაპარაკებისას იყენებდა, თვით რუსეთის წინააღმდეგ კარგად გამოიყენა ჩეჩნეთმა. ვიდრე სოჭში რუსეთ-ჩეჩნეთის მოლაპარაკება მიმდინარეობდა, ჩეჩნეთმა განამტკიცა საკუთარი მდგომარეობა, გაარღვია დიპლომატიური ბლოკადა და დაამყარა ურთიერთობა ლიტვასთან, ესტონეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან, ირანთან. ჯ. დუდაევმა ისე მკვიდრად იგრძნო თავი პრეზიდენტის უნაგირზე გადამჯდარმა, რომ უცხოეთში ვოიაჟიც კი წამოიწყო. ასეთ პირობებში რუსეთის ერთადერთი შანსი — შეინარჩუნოს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები უომრად, ესაა მათთვის მეტი თავისუფლებების მინიჭება. ამას კი შეიძლება რუსეთის ფედერაციის დაშლა მოჰყვეს. რუსეთის ნაციონალ-პატრიოტები, ე. შევარდნაძისადმი სიძულვილით დაბრმავებულები, ცდილობენ საბჭოთა კავშირის დანგრევისათვის სამაგიეროდ საქართველო დაუნგრიონ, მაგრამ ამ ცდებში შეიძლება საკუთარი სახელმწიფო შემოეფშვნათ ხელში.

კარიკატურისტის კომენტარი



მხატვარი გივი მორჩაძე

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მოლაპარაკების მე-7 რაუნდი

ვაშინგტონი. განახლდა მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხზე, რომლის ორგანიზატორია ვაშინგტონი და მოსკოვი. მოლაპარაკების ეს ტური 19 ნოემბრამდე გაგრძელდება. შეისვენებენ მხოლოდ ათი დღით იმ დროს, როცა ამერიკაში არჩევნები გაიმართება. მოელიან, რომ ისევე როგორც მოლაპარაკების წინა რაუნდში, ამჯერადაც ისრაელის და არაბული მხარის პოზიციები კიდევ უფრო დაახლოვდება, რაც უდავოდ სასარგებლოა ვაშინგტონის რესპუბლიკური ადმინისტრაციისათვის საარჩევნო მარათონის უკანასკნელ ეტაპზე.

ემუქრებოდა ბილ კლინტონს

ნევადის შტატის ქალაქ ლას-ვეგასში, კვირას, ამერიკის საიდუმლო სამსახურის აგენტებმა დააპატიმრეს ვინმე ედვარდ კეროლი, რომელიც მოკვლას უპირებდა ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატს დემოკრატიული პარტიისაგან ბილ კლინტონს. იგი დააპატიმრეს მას შემდეგ, როცა მან დარეკა ადგილობრივი პოლიციის უბანში და განაცხადა, რომ ამ კვირაში დასახული ვიზიტის დროს „ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების მარათონის ლიდერი მიიღებს იმას, რასაც იმსახურებს", რომ მას, კეროლს, არ შეუძლია შეურიგდეს აზრს, რომ კლინტონი სახელმწიფოს მეთაურის პოსტს დაიკავებს". კეროლი 43 წლისაა. ყოფილი საზღვაო ქარისკაცია, მონაწილეობდა ვიეტნამის ომში. პოლიციის მონაცემებით, გარკვეული დრო მკურნალობდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ალკოჰოლიკია.

ორმხრივი კონსულტაციების ფარგლებში

ახლანდელი შეხვედრა არის მოწესრიგების პრობლემაზე დიალოგის გაგრძელება, განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრია კოზირევმა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ვლადისლავ არძინბასთან საუბრის დაწყების წინ.

შეხვედრა ეწყობა ქართველთა და აფხაზთა კონფლიქტის მოწესრიგებით დაინტერესებული ყველა მხარის შორის ორმხრივი კონსულტაციების ფარგლებში. უფრო ადრე ამ კვირაში ანდრია კოზირევი მოსკოვში ესაუბრა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელს ალექსანდრე ჩიკვაიძეს.

უკრაინის პრეზიდენტის განცხადება

საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ამასწინანდელ გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, რომ დროებით შეწყდეს ბირთვული იარაღის გამოცდები, და რუსეთის მიერ ამ გამოცდების მორატორიუმის განგრძობას მოწონებით შეხვდნენ უკრაინაში, რომელიც მუდამ მხარს უჭერდა და ახლაც მხარს უჭერს ყველა ბირთვული გამოცდის სრულ შეწყვეტას, ნათქვამია განცხადებაში, რომელიც გუშინ გააკეთა უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა. უკრაინისათვის, რომლის ხალხმა განიცადა უბედურება ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ გარემოს რადიაქტიური დაბინძურების გამო, ასეთ მოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

უკრაინის პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ ამ ნაბიჯს შეუერთდებიან სხვა სახელმწიფოებიც, რაც შექმნის ნდობის ატმოსფეროს და სათანადო წანამძღვრებს ბირთვული იარაღის შემცირებისა და საბოლოო მოსპობის მიმართულებით კაცობრიობის შეუქცევადი წინსვლისათვის.

ტროპიკული გრიგალი

ძლიერი ტროპიკული გრიგალი „ბრაიანი" თავს დაატყდა სამშაბათს ღამით გუამის კუნძულის ტერიტორიას — ამერიკის შეერთებული შტატების სამფლობელოს წყნარ ოკეანეში. ძლიერი ქარის სიჩქარე აქ საათში 145 მილს აღწევს. ქალაქების ქუჩები დატბორილია წყლით, შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, იგრძნობა სასმელი წყლის მწვავე ნაკლებობა. ათიათასობით კაცი გახიზნეს. მსხვერპლისა და ნგრევის ამბავს არ იუწყებიან. გუამის გუბერნატორმა ჯოზეფ ადამ გამოაცხადა საგანგებო წესების შემოღება.

თითო აბზაცით

რუსეთის ფედერაციის უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება არ გადაიტანოს სახალხო დეპუტატთა მეშვიდე ყრილობის ჩატარება მარტ-აპრილისათვის, რასაც თხოულობდნენ პრეზიდენტ ბორის ელცინი და რუსეთის რესპუბლიკების მეთაურები.

რუსეთის პარლამენტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე სერგეი ფილატოვი, მიიღო მექსიკის პრეზიდენტმა დე გორტარიმ.

ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა სამშაბათს შოტლანდიაში მიიღეს გადაწყვეტილება წლის ბოლოსათვის შეუთანხმონ ერთმანეთს ევროპის უშიშროების განმტკიცების გეგმები და ამ ძალისხმევაში ჩართონ ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები.

ერთი შეთქმულების კვალდაკვალ

პრესა რუსეთის პოლიტიკური ვითარების შესახებ

საზღვარგარეთის პრესა ფართოდ აშუქებს რუსეთის ხელმძღვანელობის წევრებისა და უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფის მოსკოვში გამართულ შეხვედრას. „მეტად ხანგრძლივი შეხვედრის დროს, — აღნიშნულია ფრანგული გაზეთის **„მონდის"** ცნობაში, — მთავრობის ყველაზე რეფორმისტული ფრთისა და რუსეთის პრეზიდენტის ბ. ელცინის უახლოესი გარემოცვის თვალსაჩინო წარმომადგენლები — მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეები მ. პოლტორანინი და ა. ჩუბაისი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. კოზირევი და სახელმწიფო მდივანი გ. ბურბულისი — აღწერდნენ ფართო შეთქმულებას, რომელსაც ამზადებენ მათი მოწინააღმდეგეები, და აშკარად ითხოვდნენ საერთაშორისო პრესის დახმარებას. ბურბულისმა, კერძოდ, განაცხადა: ოპოზიციამ ბოლო თვეების პაუზა იმისათვის გამოიყენა, რომ გაემაგრებინა თავისი პოზიციები ხელისუფლების ყველა დონის არჩევით ორგანოებში, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროში, პროკურატურის ორგანოებში, პროვინციულ უმაღლეს სასწავლებლებში და ისეთ პროკომუნისტურ სტრუქტურებში, როგორიც არის დამოუკიდებელ პროფკავშირთა ფედერაცია. მისი გამოსვლიდან ჩანს, რომ საშიშროება მოსალოდნელია აგრეთვე „მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გენერლებისაგან".

რუსეთის მთავრობის შეხვედრაზე გამოსულ წევრთა აზრით, მათი მოწინააღმდეგეების მოქმედების ტაქტიკა ის არის, რომ 1 დეკემბერს მოიწვიონ სახალხო დეპუტატთა ყრილობა, რომელიც ბოლოს მოუღებს ახლანდელი მთავრობის საქმიანობას და შეაჩერებს რეფორმების პროცესს. პარალელურად განხორციელდება მანევრები, რომელთა მიზანია დაარღვიონ პრეზიდენტის საქმიანობა, კერძოდ, შეეცდებიან მიაღწიონ, რომ კონსტიტუციურმა სასამართლომ უკანონოდ ცნოს რეფორმების პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული მისი ბრძანებულებები.

ამ პირობებში პრეზიდენტის თანამებრძოლები აპირებენ მიაღწიონ იმას, რომ „მეტისმეტად სახიფათო ყრილობა" მომავალ გაზაფხულამდე გადაიდოს, და იმედოვნებენ, რომ ამ პერიოდში თავიანთ სასარგებლოდ შეცვლიან ძალთა თანაფარდობას და განწყობილებას საზოგადოებაში".

გაზეთი „ეკო", რომელიც აანალიზებს, თუ როგორ შეიძლება წარიმართოს რუსეთის უზენაეს საბჭოში ისეთი საკითხის განხილვა, როგორიც არის სახალხო დეპუტატთა მორიგი ყრილობის მოწყობის ვადების გადატანა მომავალი წლის მარტისთვის, კერძოდ, წერს: „ყრილობა ცნობილია თავისი მტრული დამოკიდებულებით რეფორმების პოლიტიკისადმი.

ამიტომაც რუსეთის პრეზიდენტს ყველა საფუძველი აქვს შიშობდეს, რომ დეპუტატები შეეცდებიან დაამხონ მთავრობა და სახელმწიფოს მეთაურს წაართვან ერთი თვის წინათ მინიჭებული დამატებითი უფლებამოსილებანი.

გარდა ამისა, დამოუკიდებელ პროფკავშირთა ფედერაცია აპირებს 24 ოქტომბერს მოაწყოს „მოქმედების დღე" და, თუ ეს აქცია საკმაოდ ფართო გაქანებას პოვებს, ესეც შეარყევს აღმასრულებელი ხელისუფლების პოზიციებს".

ინგლისის გაზეთები დღეს წერენ, რომ მოსკოვში სულ უფრო მეტად შიშობენ შესაძლო „კონსტიტუციური გადატრიალების" გამო, რომლის განხორციელებასაც შეეცდებიან ყრილობაზე რუსეთის მთავრობის ახლანდელი კურსის კონსერვატიულად განწყობილი მოწინააღმდეგეები.

როგორც გაზეთი **„გარდიანი"** აღნიშნავს, „პრეზიდენტი ელცინი საჭიროდ მიიჩნევს გადაიდოს რუსეთის სახალხო დეპუტატთა ყრილობა, რადგან აღმოჩნდა შეთქმულების წინაშე, რომელსაც ამზადებენ ძალები, რომლებიც მოწადინებული არიან დაამხონ მთავრობა და პრეზიდენტს ჩამოართვან აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის უფლებამოსილებანი. ასეთი რევანშისტული საფრთხის არსებობა დაადასტურა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ოთხმა გავლენიანმა რუსმა მოღვაწემ — მ. პოლტორანინმა, გ. ბურბულისმა, ა. კოზირევმა და ა. ჩუბაისმა. როგორც მათ თქვეს, აღმასრულებელ ხელისუფლებას და მის რეფორმებს რეალურ საფრთხეს უქმნიან „მთელი რიგი საპარლამენტო ფრაქციები, იატაკქვეშა დაჯგუფებები, რომლებიც დაკავშირებული არიან აკრძალულ კომპარტიასთან, და თვით შინაგან საქმეთა სამინისტროც კი".

მ. პოლტორანინმა, მაგალითად, განაცხადა, რომ ოპოზიცია აპირებს ახლანდელი მთავრობა ხელისუფლებას ჩამოაშოროს მომავალ ყრილობაზე, წაართვას პრეზიდენტს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის უფლებამოსილებანი და ეს პოსტი პირწმინდად ნომინალურ პოსტად გადააქციოს. ამასთანავე მან უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ხასბულატოვს ბრალად დასდო, რომ მისი მფარველობით მზადდება გადატრიალება".

„ფაინენშლ ტაიმსი" მიიჩნია: „პრეზიდენტ ელცინის მისწრაფება გაზაფხულისათვის გადაიტანოს სახალხო დეპუტატთა ყრილობა, გამოწვეულია იმით, რომ შეთქმულთა ჯგუფი ემზადება განახორციელოს ამ ყრილობაზე გადატრიალება ეგრეთ წოდებული კონსტიტუციური ხერხით. ყრილობა დეკემბრისათვის შემთხვევით როდი იყო დანიშნული: იგი მოწყობილი იყო ხელი შეეშალა სამრეწველო საწარმოების მასობრივი პრივატიზაციისთვის, რომელიც იანვარში უნდა დაიწყოს".

„სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადადების სურვილი, — აღნიშნულია „ტაიმსის" სარედაქციო კომენტარში, — მოწმობს, რომ ბ. ელცინი სულ უფრო მეტად არის შეშფოთებული უზენაეს საბჭოში მასთან დაპირისპირებული ძალების საქმიანობით და ქვეყანაში დამთრგუნველი ატმოსფეროთი. ელცინის მომხრენი, როცა ყრილობის გადადებას ითხოვენ, ამტკიცებენ, რომ სერიოზული საფრთხე ემუქრება რეფორმების მთავრობას... ეკონომიკური გარდაქმნების პროგრამა რუსეთში გასაჭირში აღმოჩნდა ისეთ ვითარებაში, როცა ეგრეთ წოდებული ცენტრისტული ლობი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სახით აფართოებს თავის შეტევას. რუსეთის რეფორმატორები კვლავ იძულებული არიან თავი დაიცვან. პრეზიდენტის თანამოაზრენი შიშობენ, და ამის სულ უფრო მეტი საფუძველი აქვთ, რომ ყრილობა, ძველი პარტიული აპარატის ეს კონსერვატიული ბურჯი, ისარგებლებს თავისი კონსტიტუციური ძალაუფლებით, რათა შეაჩეროს საძულველი ეკონომიკური რეფორმები, ეცადოს ე. გაიდარის მთავრობის შეცვლა და, შესაძლოა, პრეზიდენტის გადაყენებასაც კი მიაღწიოს.

სარგებლობენ რა ყველგან ხალხში არსებული ვნებათაღელვით, დამნაშავეობის და ჰიპერინფლაციის გამო უკმაყოფილებით, აღვირახსნილი სპეკულაციითა და რუსეთის უუნარობით, დაიცვას თავისი ინტერესები ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომ უკვე აღარაფერი ვთქვათ დანარჩენ მსოფლიოზე, ახალი შეთქმულნი ოცნებობენ დაამყარონ ავტორიტარული მმართველობა. ასეთ ვითარებაში დასავლეთმა არ უნდა უგულებელყოს რუსეთის დემოკრატთა მოწოდებანი, რომლებიც, როგორც ჩანს, სასოწარკვეთილებას მისცემიან".

იაპონური „ასაჰი" სარედაქციო სტატიაში წერს: „შარშანდელი აგვისტოდან მოყოლებული პერიოდი, როცა ჩაიფუშა კონსერვატორული გადატრიალების ცდა, და დაახლოებით მიმდინარე წლის გაზაფხულამდე პერიოდი ელცინის ადმინისტრაციისათვის იყო „შეტევის" დრო: განამტკიცებდა რა თავისი ხელისუფლების ბაზას, იგი ახორციელებდა ღონისძიებებს გარდაქმნების მიმართულებით. ახლა, როგორც ჩანს, დადგა „თავდაცვის" პერიოდი, როცა კლებულობს რეფორმების ტემპი სოციალური უკმაყოფილების აფეთქების თავიდან აცილების მიზნით. მაგრამ საჭირო იყო ასეთი სიტუაციისა და იმ პოლიტიკურ მიზნების გამიჯვნა, რომლებსაც ესწრაფვის ელცინი. თავის ამასწინანდელ სიტყვაში მან კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კერძო საკუთრებაში მიწის გადაცემა, საწარმოთა დემონოპოლიზაციისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის ღონისძიებათა განმტკიცება, რასაც ჯიუტად ეწინააღმდეგება პარლამენტი. ასეთი პოზიცია აშკარად განსხვავდება კონსერვატიულ ძალთა პოზიციისგან, რომლებიც წარმოადგენენ ყოფილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნარჩენებს, კომუნისტური სისტემის აღორძინება რომ მოუწადინებიათ, აგრეთვე შოვინისტურად განწყობილი უაღრესად მემარჯვენე ნაციონალისტური დაჯგუფებების პოზიციისაგან. ასეთ კონსერვატიულ ძალებთან შედარებით „სამოქალაქო კავშირი" შეიძლება მივაკუთვნოთ ცენტრისტულ ბლოკს. კავშირის ბირთვს შეადგენენ სახელმწიფო საწარმოებისა და სამხედრო მრეწველობის ხელმძღვანელები, მაგრამ ისინი სულაც არ ესწრაფვიან კონტროლს დაქვემდებარებული გეგმიური ეკონომიკის აღორძინებას, რომელიც წარსულში არსებობდა.

დეპუტატები, რომლებიც შედიან „სამოქალაქო კავშირში" და სხვა ცენტრისტულ დაჯგუფებებში, უკვე უდიდეს ძალას წარმოადგენენ და რუსეთის პარლამენტში თითქმის ნახევარს შეადგენენ. „სამოქალაქო კავშირის" ეკონომიკური პროგრამა ბევრ პრობლემურ მომენტს შეიცავს. მასში, კერძოდ, არ არსებობს სიფრთხილე ინფლაციის საფრთხის მიმართ. მაგრამ მაინც ელცინისთვის, ჩვენი აზრით, არ არსებობს სხვა გზა, გარდა იმისა, რომ შექმნას კოალიციური მთავრობა რეფორმატორული ბლოკითურთ, ამავე დროს მიიმხროს ცენტრისტული ძალები და ამის საფუძველზე მიაღწიოს სტაბილურობას ქვეყანაში. საქმე ის არის, რომ უახლოეს დროში ძნელია, როგორც გვესახება, ისეთი პოლიტიკური ძალის პოვნა, რომელიც შეცვლიდა „სამოქალაქო კავშირს".

კომენტარი: როცა შეთქმულებისა და მემარჯვენე გადატრიალების შესაძლებლობაზე ლაპარაკობენ რუსეთის პრეზიდენტის უახლოესი თანამოაზრენი, მათ უფრო უნდა მივუგდოთ. ახლა არ არის იმისი გახსენების დრო, რომ სამმა მათგანმა ოდესღაც საკამათოდ გახადა ედუარდ შევარდნაძის ანალოგიური გაფრთხილებები და თითქმის შეთანხმებულად გაიძახოდნენ: „გვაშინებს!". უადგილოა ახლა ბორის ელცინის აგვისტოს „საიუბილეო" პრესკონფერენციის შეხსენებაც, როცა მან კითხვაზე, თუ რამდენად მოსალოდნელია რუსეთში ახალი პუტჩი, უპასუხა, ეს ყოვლად შეუძლებელიაო.

ახლა ლაპარაკია არა იმაზე, თუ ვინ იყო მართალი თავის ვარაუდებში და ვინ ცდებოდა, როცა თავდაჯერებულად უგულებელყოფდა ამ გაფრთხილებებს. მეტად აშკარა და დიდია საფრთხე, რომელმაც აალაპარაკა ოთხი კაცი ელცინის გუნდიდან, და ამ საქმეში დაუდევრობა არ ეგების, მით უმეტეს — საქართველოში, რომლისთვისაც ამ საფრთხის სიგნალი გაისმა 25 სექტემბერს, როცა რუსეთის პარლამენტმა მიიღო თავისი ცნობილი საძრახისი დოკუმენტი „აფხაზეთის შესახებ". ეს იყო უკვე ზარის ჩამოკვრა, რომელიც რუსეთში დემოკრატიულ გარდაქმნებსაც დაემუქრა.

მართლაც რომ, წინასწარმეტყველურად ჟღერდა იმავე დღეს, 25 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან ედუარდ შევარდნაძის სიტყვები: „სტაბილური, აყვავებული, დემოკრატიული რუსეთი მსოფლიო მასშტაბისა და მნიშვნელობის ფაქტორია. საფრთხე, რომელსაც უქმნიან მას ტოტალიტარული რევანშისტული ძალები, ჩვენ ყველას გვემუქრება. საქართველოს წინააღმდეგ იმ შეთქმულებაში, რომელიც ახლა მთელი სისრულით იშლება ჩვენს თვალწინ, რუსეთის წითელ-მიხაკისფერი რეაქცია უკიდურეს ფუნდამენტალიზმთან, სამამულო ფაშიზმთან და სეპარატიზმთან ერთ მწყობრში გვევლინება.

მსოფლიომ უნდა იცოდეს ეს. მსოფლიო მოვალეა ხელი შეუწყოს რუსეთის სტაბილურობის განმტკიცებას და ამით — ჩვენ და თავის თავს".

შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც დაუფარავად დაადასტურეს მემარჯვენეებმა რუსეთის პარლამენტში 25 სექტემბერს — ეს არის შეთქმულება რუსეთის წინააღმდეგაც — მისი ხელმძღვანელობის დემოკრატიული კურსის წინააღმდეგ და მეტად სამწუხაროა, რომ ამ ხელმძღვანელობის ყველაზე საქმიანი და რუსეთის პრეზიდენტის ყველაზე დაახლოებული ნაწილი ასე დაგვიანებით მიხვდა ამას

ამით, ვისაც სურს მიიღოს პასუხი კითხვაზე, თუ რა ხდება აფხაზეთში და რატომ ვითარდება მოვლენები იქ ასე, და არა სხვაგვარად, შეუძლიათ ეს პასუხი ამოკრიფონ ბორის ელცინის უახლოეს თანამშრომელთა ზემოთ გამოქვეყნებულ გამონათქვამებიდან.

რა გადაგვარჩენს?!

ერის სულიერ საწყისებთან დაბრუნება

ავთანდილ გველესიანი

რა გადაგვარჩენს?!

წერილის სათაურში გამოტანილი ეს კითხვა დროის მოთხოვნილებაა, რომელიც მრავალი პასუხის შემცველია, ოღონდაც არსებობს ერთადერთი შესაძლო და უტყუარი პასუხი, რომელიც თავისი არსით, ტევადობით თითქმის ყველაფრის შემცველია და, ვფიქრობ, საკამათო არ უნდა იყოს.

წიგნი...

ძველ ბერძნებს შეუნიშნავთ:

— ადამიანები, რომლებსაც წიგნების დაწვა შეუძლიათ, ადამიანებსაც დაწვავენო.

ისე ყველა ჩვენგანს აუხდა კეთილი ახახდენი, როგორც ძველ ბერძენთა ნათქვამი ჩვენ აგვიხდა.

იმის შემდეგ, რაც თბილისში, ვერის პარკში წიგნები დავწვით, — ერთმანეთის „დაწვას" მივადექით, — ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

წიგნი და საზოგადოება

აუტოდაფე... წიგნების დაწვა...

ამას წინათ, მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს, სასტუმრო „მეტეხში", თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები მეტად მნიშვნელოვანი ფაქტის მოწმენი გავხდით, რომელიც, რატომღაც, დაუმსახურებლად დარჩა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების მიღმა.

„მეტეხის" სააქტო დარბაზში თბილისის ინტელიგენციის წარმომადგენლებს, უცხოელ სტუმრებს, მწერალთა დამოუკიდებელი ასოციაციის „გულანის" გამომცემლობამ და კოოპერატიული სტამბის „ქართული ფილმის" დირექტორმა გელა ტუქსიშვილმა „ვეფხისტყაოსნის" ახალი ხელნაწერი გამოცემა შესთავაზა.

„ვეფხისტყაოსნის" ახალი გამოცემის მხატვრული ხელწერა შესრულებულია ქალბატონ ნანული შუბითიძე-ხუციშვილის მიერ. საგამომცემლო საბჭოს წევრები არიან: მაყვალა გონაშვილი, ვაჟა ოთარაშვილი, შოთა ჰინჭარაული, ვახტანგ ღლონტი, თემურ შავლაძე, მალხაზ თავაძე, გელა ტუქსიშვილი.

წიგნის რედაქტორია რუსუდან გამსახურდია. წიგნი დასურათებულია ცნობილი ქართველი მხატვრის სერგო ქობულაძის ილუსტრაციებით.

შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი" ბედისწერად მოევლინა ქართველ ერს. დაიღუპებოდა „ვეფხისტყაოსანი" და დაიღუპებოდა ქართველი ერი, გადარჩებოდა „ვეფხისტყაოსანი" და გადარჩებოდა ქართველი ერი.

გადარჩა „ვეფხისტყაოსანი" და გადარჩა ქართველი ერი.

„ვეფხისტყაოსანი" დავიწყებას არასოდეს მისცემია. ამჟამად ჩვენამდე მოღწეულია „ვეფხისტყაოსნის" 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი. პოემის ყველაზე ძველი ხელნაწერი მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულის და მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისისაა.

მკითხველ საზოგადოებრიობას წარედგინა „ვეფხისტყაოსანი", რომელიც 1966 წელს, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის მიერაა მომზადებული და აკადემიური გამოცემის ტექსტს შეიცავს, — გამოსაცემად მოამზადეს გიორგი წერეთელმა, სარგის ცაიშვილმა და გურამ კარტოზიამ.

გამომცემლებს სჯერათ, რომ სამზითვო „ვეფხისტყაოსანი" ახალ თაობებს კვლავაც ფეხბედნიერებას და უკვდავებას აზიარებს.

სასტუმრო „მეტეხის" სააქტო დარბაზში, სადაც ახალგაზრდა მხატვარ ვახტანგ ხარატიშვილის ნახატები იყო გამოფენილი, კინოკონცერნ „ქართული ფილმის" პრეზიდენტმა რეზო ჩხეიძემ სტუმრებს „ვეფხისტყაონი" წარუდგინა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ და სიტყვით გამოვიდნენ: ბატონი ედუარდ შევარდნაძე, ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ქენთ ბრაუნი, გერმანიის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში გიუნტერ დანჰოფი, გურამ ფანჯიკიძე, ელდარ შენგელაია, ვახტანგ გოგუაძე და სხვები

ბატონმა რეზო ჩხეიძემ სტუმრებს საჩუქრად მიუძღვნა მარიამ ღვთისმშობლის ხატი და ხელნაწერი წიგნი „ვეფხისტყაოსანი" — ქართველი ერის ფიქრი, რწმენა და იმედი.

უკვდავია, უსასრულოა „ვეფხისტყაოსანი" და მისი შემქმნელი ხალხი.

რა გადაგვარჩენს?!

ერის სულიერ საწყისებთან დაბრუნება!

საგადასახადო ინსპექცია გვაფრთხილებს

მარნეულის რაიონის 840 სხვადასხვა კოოპერატივიდან და მცირე საწარმოდან მესამედზე მეტი უმოქმედოდაა რეგისტრაციის მომენტიდან. მათ საბანკო ანგარიშზე ფული დღემდე არ ჩარიცხულა. მაგრამ, როგორც საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა მარნეულის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსმა გურამ დარბაიძემ, ეს ორგანიზაციები, ოფიციალური სტატუსის მინიჭების შემდეგ საქართველოს ფარგლებს გარეთ მუშაობენ ეგრეთ წოდებული ნაღდი ანგარიშების მეოხებით და ამით ხელს უწყობენ რესპუბლიკიდან ფულის ნიშნების გადინებას. რაიონის ბიუჯეტში კი მათი საქმიანობით არსებობის მთელი ხნის განმავლობაში არც ერთი კაპიკი არ შემოსულა. გ. დარბაიძის აზრით, ასეთი ორგანიზაცია სასწრაფოდ უნდა დაიხუროს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ორგანიზაციები რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც იქნება. მომავალი პარლამენტი განიხილავს ამ საკითხს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

გაზსადენი აღდგება, მაგრამ ვინ გადაიხდის ამისთვის ფულს?

რუსეთის გაერთიანება „კავკასტრანსგაზი" შეუდგა აღდგენითი სამუშაოების განხორციელებას ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიიდან საქართველოსა და სომხეთის მიმართულებით გამავალი მაგისტრალური გაზსადენის დაზიანებულ უბანზე.

— როგორც რუსმა კოლეგებმა დაიანგარიშეს, ამას დასჭირდება სულ ცოტა 32 მილიონი მანეთი, — თქვა საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზის" უფროსმა კარლო ნიკოლაიშვილმა, — და ეს თანხა, მათი კატეგორიული განცხადების თანახმად, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებმა უნდა გადაიხადონ. შემთხვევის ადგილზე ჩასული ჩვენი სპეციალისტები კი მიიჩნევენ, რომ ავარია მოხდა დივერსიის გამო, თანაც, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების თანახმად ვალდებულია თავისი სახსრებით განახორციელოს საჭირო აღდგენითი სამუშაოები. ასეა თუ ისე, ეს სამუშაოები უკვე დაიწყო, დაფინანსების საკითხს კი გავარკვევთ. ახლა ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ რაც შეიძლება სწრაფად აღდგეს გაზის ეს მაგისტრალი.

თენგიზ ჩხიკვაძე.

ეს ჩვენი საქართველოა!

მოხალისეები მიდიან • აფხაზეთში

20 ოქტომბერს დილიდან სპორტის სასახლესთან ავტობუსების კოლონა მგზავრთა მოლოდინში გაჩერებულიყო: აფხაზეთში გასამგზავრებლად და მთავრობის ძალების დასახმარებლად მოდიოდნენ მოხალისეები საზოგადოება „თბილისელიდან". ეს ვაჟკაცები მზად არიან იბრძოლონ სამშობლოს მთლიანობისა და ერთიანობისათვის.

სურათზე: მოხალისეთა ჯგუფი აფხაზეთში გამგზავრების წინ.
ირაკლი ბედენიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

პროფესია? ბიზნესმენი!

125 ქალიშვილი და ვაჟიშვილი თბილისის ბიზნესის აკადემიის პირველი სტუდენტი გახდა. აკადემია დააარსა საქართველოს საინჟინრო აკადემიამ, იუნიდოს რესპუბლიკურმა ცენტრმა და ინფორმატიზაციის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა.

ახალმა სასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის ეროვნული სკოლის ფორმირებას, მოამზადოს საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის, მარკეტინგის, სამეურნეო სამართლის, საბანკო საქმისა და სხვა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

გულთბილად შეხვდნენ სტუდენტები საპატიო სტუმარს — ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოს რესპუბლიკაში კენტ ბრაუნს, რომელმაც

აღუთქვა, რომ ხელს შეუწყობდა აკადემიის კოოპერირებას შტატების ბიზნესცენტრებთან, ხელს შეუწყობდა ჩვენი სტუდენტების მიერ საერთაშორისო განათლების მიღებას.

• • •

სურათზე: ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოს რესპუბლიკაში კენტ ბრაუნი თბილისის ბიზნესის აკადემიის სტუდენტთა შორის.

ვანო შამანაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ეროვნული თავდაცვის ფონდში

7 ოქტომბერს სენაკში გამართულ საზოგადოებრიობის რაიონულ შეკრებაზე სიტყვით გამოსულმა ხორშელმა მეჩიაიშ, 14 შვილის დედამ ნელი ლევამბერიამ განაცხადა: — „ისევე, როგორც ყველა დედა, მეც სულითა და გულით შემძრა აფხაზეთის ტრაგიკულმა მოვლენებმა. დაქირავებულ ბანდიტთა და აფხაზ ექსტრემისტთა მუხანათობითა და გაუგონარი მხეცობით ათასობით ქართული ოჯახი აოხრდა და გაუბედურდა. ასობით ქართველი ჭაბუკი, ნამდვილი პატრიოტი, მშვიდობიანი მოსახლეობა, ქალები, ბავშვები და მოხუცები შეეწირა და ამჟამადაც ეწირება ამ აშკარა აგრესიას, ათასობით ქართველი ლტოლვილი აიყარა მშობლიური ადგილებიდან,- ყოველივე ეს მაიძულებს გავუძლო ყოველგვარ სიდუხჭირეს და დანაზოგი, უკანასკნელი შემოსავალიც კი გავიღო ქვეყნის თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად, ეს ფული ხომ ჩვენი შვილების, საქართველოს მომავლისათვის არის საჭირო. ალალი იყოს ჩვენს მიერ გაღებული ყოველი კაპიკი მათთვის. ამ მიზნით გადავწყვიტე ზემოთ დასახელებულ ფონდში გადავრიცხო ჩემს მიერ მოკრეფილი ჩაის ნედლეულიდან მიღებული. შემოსავალი 15 ათასი მანეთის ოდენობით".

ამ ინიციატივას სხვებმაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი. ახალსოფლის ბაღა-ბაღის გამგემ ნანულე გოგიამ განაცხადა, რომ რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში გადარიცხავს თავის ერთი თვის ხელფასს — 2 ათას მანეთს,- ამასთან ამავე ფონდში შეაქვს 6 გრამი ოქრო — დედის ნაჩუქარი ბეჭედი.

ამავე ფონდში სამი თვის ხელფასის — 5 ათასი მანეთისა და 2 გრამი ოქროს შეტანა ივალდებულა სენაკის მეორე არასრული საშუალო სკოლის პედაგოგმა დალი კირტავამაც.

ამ საქმეშიც, როგორც ყოველთვის, თავის ტრადიციას არ უღალატა აგროსამშენებლო ფირმა „სენაკის" თავმჯდომარემ დიმურ გადელიამ, რომელმაც იკისრა თავისი ფირმის შრომითი კოლექტივის სახელით თავდაცვის ფონდში გადარიცხოს 500 ათასი მანეთი.

რევაზ გრიგოლავა.

●

რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალმეურნეობა" „სამგორის" სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ საქართველოს თავდაცვის ფონდში ორმოცდაათი ათასი მანეთი ჩარიცხა.

ბათუმელი მებაჟეები —ქართველ მეომრებს

კვლავ იღებენ დახმარებას აფხაზეთში მყოფი ქართველი მეომრები. ტვირთის მორიგი პარტია გაგზავნა კონფლიქტის ზონაში ბათუმის საბაჟომ (უფროსი თემურ მეგრელიშვილი). კერძოდ, ოჩამჩირეში მებრძოლებისათვის გაგზავნეს 100 ფარაჯა, ამდენივე შარვალი, ქუდი და ზედა ტანსაცმელი, 100 კომპლექტი საწოლის თეთრეული, 100 წყვილი ჩექმა, 100 ათასი მანეთის ღირებულების მედიკამენტები და ასეთივე თანხის დაკონსერვებული ხორცი, 57 ათასი მანეთის სიგარეტი და 8 ათასი მანეთის ასანთი, აგრეთვე ბევრი სხვა რამ. 10 ათასი მანეთი გადაეცა ასეულის დაღუპული მეთაურის ვახტანგ ლიპარტიას ოჯახს.

თამაზ ბენძეხაძე.

სიახლე

სამაგიდო წიგნი

გამომცემლობა „ხელოვნებამ" ქართულ ენაზე პირველად გამოსცა და ხელმომწერლებს ურიგდებათ „ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონის" პირველი ტომი.

ეს არის თარგმანი უაღრესად პოპულარული ლექსიკონისა, რომელიც გერმანიაში დაიბეჭდა 1970 წელს, ხოლო მას შემდეგ თითქმის ყოველწლიურად გამოდის. ექვსტომეული შეიცავს დიდძალ ინფორმაციას და დაწერილია ყველასათვის მისაწვდომი ენით. პირველი ორი ტომი ეძღვნება ხელოვნების სხვადასხვა სტილსა და მიმართულებას ძველი საბერძნეთიდან დღემდე, თანამედროვე ხელოვნების ჩათვლით. მომდევნო ორ ტომში თავმოყრილია ხელოვნების ისტორიის ყველა ძირითადი ცნება, ხოლო ბოლო ორტომეული მსოფლიოს გამოჩენილ მხატვართა, ხუროთმოძღვართა, მოქანდაკეთა ბიოგრაფიებს ეძღვნება.

ლექსიკონის პირველი ტომი — „ხელოვნების სხვადასხვა სტილი და მიმართულება" დაყოფილია ეპოქებად. მკითხველს რომ გაუადვილდეს სასურველი ცნობების მოძიება, ყოველი ეპოქა იყოფა ქვეთავებად: „არქიტექტურა", „ქანდაკება", „ფერწერა", „მოდა და ავეჯი...".

წიგნი უხვადაა დასურათებული, ილუსტრაციები ფერადია.

დღეს, როდესაც მწვავედ იგრძნობა ქართულ ენაზე ასეთი სახელმძღვანელოს ნაკლებობა, „ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი" ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და პედაგოგებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებს, სადაც ხელოვნების ისტორია ისწავლება.

განზრახული გვაქვს ექსტომეულს დავუმატოთ მეშვიდე ტომი, რომელიც ქართულ ხელოვნებას მიეძღვნება.



„ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი" სამაგიდო წიგნია ყველასთვის, ვისაც ხელოვნება უყვარს, ვინც ეზიარა მის სამყაროს, სილამაზისა და მშვენიერების უშრეტ წყაროს.

„ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონის" I ტომის შეძენა ხელმომწერებს შეუძლიათ მაღაზია „ფრესკაში". მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი, № 179.

• • •

ვინც აპირებს უცხოეთში გამგზავრებას საქმიან ვიზიტად ან სამოგზაუროდ, ვინც ელის სტუმრებს საზღვარგარეთიდან, ყველა ოჯახს, ორგანიზაციას, დაწესებულებასა და ფირმას, გამომცემლობა „ხელოვნება" სთავაზობს საქართველოს ეთნოგრაფიის ამსახველ უნიკალურ სასაჩუქრო ალბომს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ალბომი დაბეჭდილია მსოფლიო სტანდარტების დონეზე, უმაღლესი ხარისხის ქაღალდზე, შეიცავს სამასამდე ფერად ილუსტრაციას, რომლებშიც წარმოდგენილია საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ტანსაცმელი, ავეჯი, ოქრომჭედლობა, ჭამ-ჭურჭელი, სამკაული, ხალხური ნაქარგობა, მიმოსვლის საშუალებანი, სამეურნეო ნაგებობანი, იარაღი...

ალბომის შეძენა შეიძლება როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე მაღაზია „ფრესკაში".

ვაჟა-ფშაველას ხუთტომეულის აბონემენტის მფლობელთა საყურადღებოდ!

გამომცემლობა „საქართველო" აფრთხილებს აბონემენტის მფლობელებს, ა. წ. 1 დეკემბრამდე გაიტანონ პირველი ტომი. წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნი თავისუფლად გაიყიდება.

ბავშვებზე ზრუნვით

დიდხანს ემახსოვრებათ წყნეთისა და დიღმის ბავშვთა სახლების მკვიდრთ ეს დღე. მათ ესტუმრნენ გერმანიის საელჩოსა და სასტუმრო „მეტეხ პალასის" მუშაკები. სტუმრებმა ბავშვებს ჩაუტანეს შოკოლადი, კანფეტები, ხორცი, თევზი, ხილი და სხვა პროდუქტები.

— სტუმრები გაეცნენ ბავშვების ყოფას, — გვითხრა წყნეთის ბავშვთა სახლის დირექტორმა მანანა წილოსანმა. — ახლა, როცა ყველას გვიჭირს, ჩვენი სტუმრების საქველმოქმედო აქცია განსაკუთრებით დასაფასებელია. მათ ჩვენი ბავშვები მიიწვიეს სასტუმრო „მეტეხ პალასში" და ნება დართეს უფასოდ ისარგებლონ საცურაო აუზით, ჰუმანიტარული დახმარება ყველას სჭირდება, მაგრამ განსაკუთრებით — ბავშვებს.

ენდი ჟამიერაშვილი.

შეუპოვარი ბრძოლების მოლოდინში

დღეს და ხვალ საქართველოს სტადიონებზე გაიმართება ეროვნული ჩემპიონატის მეათე ტურიდან გადმოტანილი შეხვედრები. მათ შორის გამორჩეულ ინტერესს იწვევს თბილისის „დინამოს" და გორის „დილას", გურჯაანის „ალაზნისა" და წყალტუბოს „სამგურალის", რუსთავის „გორდას" და ზესტაფონის „მარგვეთის", დედაქალაქის გუნდების — „შევარდენი 1906"-ისა და „მრეტების" მატჩები.

ევროპის სტადიონებზე

სამშაბათს დაიწყო ევროპის საკლუბო ტურნირების მეორე

ბურთი

ეტაპის თამაშები. გაგაცნობთ უეფას თასის გათამაშების მეთექვსმეტედ ფინალის რამდენიმე მატჩის შედეგებს: დორტმუნდის „ბორუსია" (გერმანია) — გლაზგოს „სელტიკი" (შოტლანდია) — 1:0, ათენის „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი) — ტურინის „იუვენტუსი" (იტალია) — 0:1, გერმანიის „კაიზერსლაუტერნი" — ინგლისის „შეფილდუენსდეი" — 3:1.

ამჟამად სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება

მდგომარეობა 22 ოქტომბრისათვის:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. „დინამო"	9	8	0	1	25-7	24
2. „გორდა"	10	6	3	1	32-20	21
3. „სამგურალი"	9	5	3	1	22-11	18
4. „კოლხეთი 1913"	8	5	1	2	17-8	16
5. „მარგვეთი"	8	5	0	3	16-12	15
6. „დილა"	9	5	0	4	15-15	15
7. „შევარდენი 1906"	8	4	2	2	14-6	14
8. „ალაზანი"	6	4	1	1	10-7	13
9. „მრეტები"	6	4	0	2	18-10	12
10. „ტორპედო"	7	3	1	3	11-8	10
11. „ივერია"	9	3	0	6	10-20	9
12. „ბათუმი"	8	2	2	4	12-13	8
13. „სამტრედია"	8	2	1	5	8-13	7
14. „გურია"	7	2	1	4	8-16	7
15. „კახეთი"	8	1	2	5	14-21	5
16. „ცხუმი"	8	1	1	6	14-23	4
17. „მზიური"	5	1	0	4	10-22	3
18. „კოლხეთი"	4	1	0	3	8-19	3
19. „ამირანი"	1	0	0	1	1-4	0
20. „ოდიში"	4	0	0	4	2-7	0

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ გამოსაცემად მოამზადა: საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი (წიგნი კოდიფიცირებულია მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე მომხდარი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით); მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები — წიგნი I (ქვეყნდება: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და იტალიის რესპუბლიკის კონსტიტუციები); საკანონმდებლო აქტების კრებული ეკონომიკის სფეროში (წიგნი I); ბინების პრივატიზაცია (I და II ნაწილი); სამინისტროში რეგისტრირებული ორგანიზაციების ცნობარი; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (კრებული).

ცნობებისათვის მოგვმართეთ: თბილისი, რუსთაველის 30, მაღაზია „იურიდიული ლიტერატურა", ტელ.: 99-54-77 ან მ. წინამძღვრიშვილის 123, გამომცემლობა „ეკონომიკა და სამართალი", ტელ.: 96-86-41.

ხსოვნა

დავით მუსერიძე

საქართველოს ეროვნულმა გვარდიამ კიდევ ერთი ჭარისკაცი დაკარგა — ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკის მებრძოლთა რიგებს გამოაკლდა დაზვერვის უფროსი, მაიორი დავით მუსერიძე.

სპორტული აღნაგობის სიმპათიური ვაჟკაცი, კეთილი და გულისხმიერი, უბოროტო და კაცთმოყვარე ადამიანი, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული, ბრძოლაში საზრიანი, გამბედავი და პირადი მაგალითის ძალით თანამებრძოლთა დამრაზმველ-აღმაფრთოვანებელი — ასეთი იყო დავითი.

თუმცა სამხედროთა ოჯახში დაიბადა და გაიზარდა, ამ პროფესიაზე არასოდეს უფიქრია. სპორტსა და ხელოვნებას გაჰყვა — იყო მუსიკოსი და მხატვარი, აღმოსავლურ ორთაბრძოლათა სპეციალისტი.

მაგრამ როცა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე შეექმნა, უყოყმანოდ მიაშურა ეროვნულ გვარდიას: გენერალ ომარ მუსერიძის შვილიშვილი და პოლკოვნიკ ნოდარ მუსერიძის შვილი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა, სამაჩაბლოსა თუ აფხაზეთში ვაჟკაცური შემართებით ნამდვილი მებრძოლი პატრიოტის სიტყვა თქვა. აკი ღიმილით ამბობდა კიდეც — „მივხვდი, რომ სისხლით და ჭიშით სამხედრო ვარო".

სამაჩაბლოში მიღებული ჭრილობისა და დაავადების მკურნალობა ბოლომდე არ დაუსრულებია, ისე წავიდა აფხაზეთში. ბოლო დღეებში ისევ სამკურნალოდ გამოგზავნეს თბილისში. მოუთმენლად ელოდა უკან დაბრუნებას, მაგრამ...

მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა, რომლისთვისაც იბრძოდი და რომელსაც შეეწირე!

ნათელში უოფილიყოს შენი სული.

**საქართველოს ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველო;
ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკი.**

საზოგადოება „აფხაზეთის" წევრების საყურადღებოდ!

ა. წ. 28 ოქტომბერს 15 საათზე საქართველოს საზოგადოება „ცოდნის" მცირე დარბაზში (მ. კოსტავას ქ. 85) გაიმართება საზოგადოება „აფხაზეთის" მორიგი საერთო კრება. მონაწილეობისათვის ვიწვევთ საზოგადოება „აფხაზეთში" გაწევრიანების მსურველებს.

საზოგადოება „აფხაზეთის" გამგეობა.

გელა ჩხაიძე

კურორტს ქვეწარმავლები დაეპატრონნენ

ნაბეღლავი ერთ-ერთი ჩინებული სამკურნალო კურორტია. იგი მდინარე გუბაზეულის ხეობის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს და ზემოდან ბახმაროს ზურმუხტისფერი მწვერვალები დაჰყურებს. ნაბეღლავში მკურნალობენ (უფრო სწორად — მკურნალობდნენ) ხახმელი წყლით, ფიზიოთერაპიული საშუალებებით. იგი უებარია კუჭ-ნაწლავით დაავადებულთათვის, და ამიტომაც ბევრი ხალხი ეტანება.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ (კურორტის ისტორია სამ ათეულ წელს ითვლის) აქ 30-35 საწოლიანი შენობა ააგეს, რომელიც, რა თქმა უნდა, არ იყო საკმარისი. 1972 წელს ტრესტ „საქკურორტმშენმა" დაიწყო სანატორიუმის სრული კომპლექსის მშენებლობა, რომელსაც 8-9 წელი მოანდომეს და როგორც იქნა, — 250 საწოლიანი სანატორიუმების კომპლექსი აშენდა. პირველ ხანებში დამსვენებელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... სამწუხაროდ, ნაადრევი აღმოჩნდა მათი სიხარული, კომპლექსი უხარისხოდ აშენებული გამოდგა: ჯერ ერთი უბანი გამოვიდა მწყობრიდან, შემდეგ — მეორე. დაიწყო დამსვენებელთა სამართლიანი საყვედურები. მრავალი საჩივარი გაიგზავნა მაშინდელ საკავშირო თუ რესპუბლიკურ ორგანოებში. საკავშირო პროფსაბჭოს კურორტების მართვის ცენტრალურმა საბჭომ 1985 წელს მიიღო გადაწყვეტილება, 1986 წლის ნოემბრიდან სანატორიუმ „ნაბეღლავს" შეეწყვიტა დამსვენებელთა მიღება, დაწყებულიყო მისი კაპიტალური შეკეთება და რეკონსტრუქცია. პროექტის მიხედვით ამ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება მილიონ 700 ათას მანეთს ითვალისწინებდა, „დახარჯეს" 2 მილიონ 800 ათასი მანეთი, თუმცა სამუშაოები სანახევროდაც არ შეუსრულებიათ. საინტერესოა, რას მოხმარდა მილიონობით სახელმწიფო ფული?!

მერედა, დაინტერესდა ვინმე? არა. არც მაშინდელი რესპუბლიკური საკურორტო ორგანოები, არც ჩოხატაურის რაიონის ყოფილ ხელმძღვანელებს მიუღიათ რაიმე ზომები. კალმა რომ თქვას, მიუტევებლად სცოდავენ რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ბანკის მესვეურები, რომლებსაც ევალებოდათ კონტროლი გაეწიათ მშენებელთა უთავბოლო ხელგაშლილობისათვის.

ის კი არადა, შესაბამისმა ზემდგომმა ორგანოებმა „ნაბეღლავის" სანატორიუმის სარეკონსტრუქციო მშენებლობის, მისი კეთილმოწყობის დასაჩქარებლად კვლავ მილიონ 900 ათასი მანეთი გამოჰყვეს. მშენებელ ორგანიზაციებს მიეცათ მტკიცე დავალება მთელი ეს სამუშაოები 1987 წლის ბოლოსთვის დაემთავრებინათ. საქკურორტმშენის" აჭარის სამშენებლო სამმართველოს მშენებლებს მიანდეს, მაგრამ მშენებლობა გაიყინა. გამოსავალი იმაში გამონახეს, რომ ჯ. კობეშავიძის ნაცვლად სამმართველოს უფროსად ა. ციბაძე დანიშნეს, მშენებლობა კი — მაინც კუს ნაბიჯით და უხარისხოდ მიმდინარეობდა. „საქკურორტმშენმა" წამოწყებულ საქმეს იმით უშველა, რომ ახალი სამშენებლო ორგანიზაცია „ნაბეღლავი" ჩამოაყალიბა, ხელმძღვანელად თ. ბენდელიანი დანიშნეს, ვერც ამან უშველა საქმეს. კვლავ დაუდევრობა, ჩამორჩენა. გამოსავალი? კვლავ იგივე? გაათავისუფლეს მშენებლობის ახლადარჩეული უბნის უფროსი, დანიშნეს სხვა — კ. ჯინჭარაძე. ასე გრძელდება დღემდე. არადა, რამდენი განსაკუთრნი დამსვენებელი მოუთმენლად ელის კურორტის ამოქმედებას. რამდენჯერ ვთქვით, რამდენჯერ დაიწერა, მაგრამ ამაოდ. მართალია, სანატორიუმის ექვსსართულიანი ვეებერთელა ნაგებობა განიერი აივნებით ამაყად გადაჰყურებს მდინარე გუბაზეულის მთელს ხეობას, მაგრამ — ეს მხოლოდ ე. წ. ფუტლარია და, როგორც იტყვიან, შორიდან მტერს უვსებს თვალს და ახლოდან — მოყვარეს. სანატორიუმის არც ერთი ძირითადი ობიექტი დამთავრებული არ არის, ზოგი შუა გზაშია მიტოვებული, ზოგისთვის ხელიც არ უხლიათ, — წყალსადენისა და კარ-მიდამოს კეთილმოწყობის სამუშაოები ხომ საერთოდ არ დაუწყიათ. ესეც არ არის მთავარი სათქმელი...

მწვავე სიგნალი

არ შეიძლება არ აღელდეს კაცი, როცა ამ ეული სანატორიუმის ფარღალალა ნაგებობებს, მის შემოგარენს, მის აბსოლუტურად გაძარცვულ კორპუსებს და დამხმარე შენობებს ნახავს!

ახლახან ჩოხატაურის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროს კორნელი კუკულავასთან და სოფელ ნაბეღლავის საკრებულოს გამგებელთან — გელოვერ კალანდაძესთან ერთად დავათვალიერეთ გაჩანაგებული სანატორიუმის ყველა კუთხე-კუნჭული. ჰოი, საოცრებავ! მიტოვებულ შენობებში ქვეწარმავლები მომრავლებულან. არცაა გასაკვირი, აქაურობას მშენებლები ხომ 2 წელზე მეტია არ გაჰკარებიან. ჰოდა, უპატრონოდ მიტოვებული სანატორიუმები პირწმინდად გაუქურდიათ, ყველაფერი გაუტაციათ: სკამები, კარადები, საწოლები, ჭამ-ჭურჭელი და ჰქები.

საკვირველია პირდაპირ, აქვე სანატორიუმის გვერდით ნაბეღლავის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანაა, სადაც ასობით მუშა მუშაობს. ნუთუ ვერავინ შენიშნა, მათ თვალწინ რომ იძარცვებოდა ეს სამკურნალო კომპლექსი?

დღეს საქართველოს ამდენი მტერი ებრძვის: შინაური და გარეშე, გეკითხებით თქვენ, ამ დანაშაულის მონაწილეებს, რამდენად გამართლებულია თქვენს მიერ ჩადენილი ძარცვა, თან ამ ეროვნული ტანჯვა-გაკითხვის ჟამს? აფსუს! თქვენც იტყვით, ქართული მიწის შვილები ვართო. განა თავზარდამცემი არ არის ადამიანთა, ისიც ავადმყოფთა ჯანმრთელობის კერის ერთიანად ამოგდება.

დააბრუნეთ უკან მიტაცებული ნივთები!

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-23.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 64484